პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совета депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 237 (10934)

კვირა, 6 ოქტომბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი იუგოსლავიაში გაემგზავრა (1-ლი გვერდი).

იაკუტი ხალხის ეროვნული დღესასწაული (1-ლი გვერდი).

საბჭოთა და გერმანელი ხალხების ურღვევი მეგობრობისათვის (1-ლი გვერდი).

საკდესის ცნობა (1-ლი გვერდი).

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის. — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანანძის მოხსენება საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე (მე-2 და მე-3 გვერდი).

ვ. მამონტოვი. — მშვიდობის ძალების დასაყრდენი გერმანიაში (მე-4 გვერდი).

მ. ინაური. — „წერილები საერთაშორისო კვლევა-ძიებულია“ (მე-4 გვერდი).

გაიხსნა პროფკავშირთა IV პლენარული კონგრესი (მე-4 გვერდი).

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას შეუნელებელი ყურადღება

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი. ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ახალი ძალით ჩქეფს შემოქმედებითი შრომა, შრომითი წარმატებებით ეგებებიან დიად დღესასწაულს.

დიდი ოქტომბრის წინა დღეებში ბევრი რამ კეთდება მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში და სოფლებში ჩქარი ტემპით შენდება საცხოვრებელი სახლები, ახალი სკოლები, კლუბ-სამკითხველოები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები და ბაღები. წლითიწლობით იზრდება ხარჯები სამედიცინო მეცნიერების განვითარებისა და სამკურნალო დაწესებულებების გაფართოებისათვის.

კეთილშობილურ შრომას სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სარბიელზე ჩვენს ქვეყანაში ეწევა ექიმების, ფერშლების, სამედიცინო დების, სანიტრებისა და მედიცინის სხვა მუშაკების უდიდესი რაზმი. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 10.663 ექიმი და 24.443 საშუალო განათლების მქონე სამედიცინო მუშაკი.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში 1956 წელს წინა წელთან შედარებით დაავადება შემცირდა 5,1 პროცენტით, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა დაავადება სოფლებში. განსაკუთრებით გაუმჯობესდა ბავშვთა ჯანმრთელობა. 1956 წელს 1955 წელთან შედარებით ბავშვთა სიკვდილიანობა 7 პროცენტით შემცირდა.

საქართველოს მშრომელები დიდი მადლიერებით ლაპარაკობენ ახალხო ჯანმრთელობის დაცვის შესანიშნავ ენთუზიასტებზე, რომლებსაც მხურვალედ უყვართ თავიანთი საქმე, თავიანთ ძალასა და ცოდნას ახმარენ მას. სამედიცინო მუშაკების ბევრმა კოლექტივმა ავადმყოფებისადმი ყურადღებიანი, გულისხმიერი მოპყრობით, მშრომელთა სანიმუშო მომსახურებით ხალხის სიყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

ხალხის, განსაკუთრებით დედების გულითადი მადლიერება მოიხვეჭა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივმა. ამ კოლექტივმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის აღების მთელ პერიოდში კოლმეურნეებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით 1954-55-56 წლებში საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობა „განთიადში“, რომელშიც გაერთიანებული არიან სოფლების გიორგიწმინდის, ანთოკისა და მარიამჯვარის მშრომელები, გახსნა სეზონური ბაგა-ბაღი. საავადმყოფოს ხელმძღვანელობას ადგილზე მიჰქონდა მთელი საჭირო ინვენტარი და სამედიცინო მოწყობილობა. ბავშვებზე ყოველდღიური სამედიცინო მეთვალყურეობისათვის საავადმყოფოს კოლმეურნეობაში მუდმივად ჰყავდა ექიმის თანაშემწე. გარდა ამისა, გამოყოფილი იყო ექიმთა სპეციალური ბრიგადა, რომელიც ყოველკვირა მიდიოდა ადგილზე ბავშვთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად. ავადმყოფ ბავშვებს სათანადო მკურნალობას უწევდნენ ადგილზე, ხოლო ისეთი ბავშვები, რომელნიც საჭიროებდნენ სტაციონარულ მკურნალობას, მოჰყავდათ საავადმყოფოში. საავადმყოფოს კოლექტივმა ასეთივე მუშაობა ჩაატარა მიმდინარე წლის ზაფხულში თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ხალხისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს საჩხერის რაიონის საუბნო საავადმყოფოს გამგემ, სამამულო ომის ინვალიდმა ა. მაჭავარიანმა, ასპინძის რაიონის სოფელ ძველის საუბნო საავადმყოფოს გამგემ ლ. კილაძემ. ასეთი შესანიშნავი მედიცინის მუშაკები ჩვენს რესპუბლიკაში სხვაც ბევრია.

მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა სახელოვან არმიაში ჯერ კიდევ გვხვდებიან, სამწუხაროდ, ადამიანები, რომლებიც უსულგულოდ ეპყრობიან ავადმყოფებს, რითაც ცუდ რეპუტაციას უქმნიან თავიანთ სამკურნალო დაწესებულებებს. მრავალი ფაქტი არსებობს, რომ ბევრი საავადმყოფო, ექიმი დამაკმაყოფილებლად ვერ უწევს მომსახურებას მშრომელებს, დიდხანს აცდევინებენ, არა გულისხმიერად სინჯავენ ავადმყოფებს, ვერ სვამენ სწორ დიაგნოზს, საავადმყოფოში არ ათავსებენ, როცა ამის შესაძლებლობა არის.

ამას წინათ ქალაქის პირველი საავადმყოფოს ბავშვთა ქირურგიულ განყოფილებაში მიიყვანეს 3 წლის ბავშვი ბრმა ნაწლავის მწვავე ანთების დიაგნოზით. ბავშვი მიიღო და გასინჯა ექიმმა ა. ხითაროვმა. იგი გულგრილად მოეკიდა ბავშვს, არ გასინჯა დაკვირვებით, ყურადღება არ მიაქცია სხვა ექიმის მიერ დასმულ დიაგნოზს, თვითონაც ვერაფერი გაიგო, არ დაუძახა სხვა ექიმებს დაავადების დადგენისათვის, ბავშვი არ დაწვინა საავადმყოფოში და იგი მშობელს სახლში გაატანა. მეორე დღეს მშობლებმა ბავშვი ქალაქის ბავშვთა პირველ საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ აქაც გულისხმიერად არ მოეკიდნენ ბავშვის ავადმყოფობის გამორკვევას.

უსულგულო დამოკიდებულებას იჩენს ავადმყოფებისადმი აგრეთვე ქარელის რაიონის აგარის საავადმყოფოს მეანე-გინეკოლოგი თ. მოსეშვილი. იგი გულისხმიერად არ ეკიდება ავადმყოფებს, საჭირო შემთხვევაში არ მიდის ავადმყოფებთან სახლში, რასაც ზოგჯერ ცუდი შედეგი მოსდევს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უპირველესი მოვალეობაა მტკიცე ბრძოლა აწარმოოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ფართოდ გავრცელოს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა გამოცდილება, წესრიგისაკენ მოუწოდოს მუშაკებს, რომლებიც პირნათლად არ ასრულებენ მკურნალის საპატიო მოვალეობას.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებებისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა აკისრიათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს. ყოვლად შეუწყნარებელია, როცა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაცია ივიწყებს, რომ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა მისი პირველი რიგის ამოცანაა.

მედიცინის მუშაკები მოწოდებულნი არიან ყოველმხრივ შეისწავლონ მოსახლეობის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, წინასწარ მიიღონ ზომები დაავადების წარმოშობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქებისა და სოფლების სანიტარული კულტურის ამაღლებას. ბევრმა სოფელმა და ქალაქმა უკანასკნელი წლების მანძილზე მთლიანად იცვალა სახე, გალამაზდა, გასუფთავდა, კეთილმოწყობილი გახდა. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი დასახლებული პუნქტები, სადაც სანიტარული კულტურა ჯეროვან დონეზე არა დგას. სისუფთავისა და წესრიგისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნით სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევურიგდეთ დანაგვიანებულ ეზოებსა და საამქროებს, ჭუჭყს მუშათა დაბებში. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

კომუნისტურ პარტიას თავის წმინდათაწმინდა მოვალეობად მიაჩნია ის, რომ დაუცხრომლად ზრუნავდეს მშრომელთა სულ უფრო მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა შემდგომ გააუმჯობესონ მშრომელთა საექიმო მომსახურება, დაეხმაროონ მედიცინის მუშაკებს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვის გაძლიერებაში.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი იუგოსლავიაში გაემგზავრა

4 ოქტომბერს მოსკოვიდან ყირიმში თვითმფრინავით გაემგზავრა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი. იგი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრება ვიზიტით პასუხად მიწვევისა, რომელიც მან იუგოსლავიის მთავრობის სახელით მიიღო არმიის გენერალ ი. გოშნიაკისგან მიმდინარე წლის ზაფხულში, როცა იგი საბჭოთა კავშირს ეწვია.

მარშალი გ. კ. ჟუკოვი ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა ნ. ს. პატოლიჩევმა და ნ. პ. ფირიუბინმა, ადმირალმა ს. გ. გორშკოვმა, ავიაციის მარშალმა ს. ი. რუდენკომ, არმიის გენერლებმა მ. ს. მალინინმა და გ. კ. მალანდინმა, გენერალ-პოლკოვნიკებმა ა. ვ. გერასიმოვმა, ა. ა. გრიზლოვმა, ნ. ი. გუსევმა, ა. ს. ჟელტოვმა, ს. უ. რუბანოვმა, ე. გ. ტროცენკომ, მ. ა. შალინმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ი. ს. კოლესნიკოვმა, საბჭოთა არმიის სხვა გენერლებმა და ოფიცრებმა, პრესის წარმომადგენლებმა.

აეროდრომზე შეკრებილნი გულითადად გამოეთხოვნენ მარშალ გ. კ. ჟუკოვს, რომელის თვითმფრინავი დილის 8 საათზე ჰაერში ავიდა. მარშალ გ. კ. ჟუკოვის მიწვევით თვითმფრინავზე იმყოფება იუგოსლავიის სამხედრო ატაშე სსრ კავშირში პოლკოვნიკი სავა პოპოვიჩი. (საკდესი).

* * *

სევასტოპოლი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს შუადღისას მოსკოვიდან სევასტოპოლში თვითმფრინავით ჩამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, რომელიც ვიზიტით მიემგზავრება იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში.

15 საათსა და 25 წუთზე მარშალი გ. კ. ჟუკოვი ავიდა კატარღაზე გრაფის ნავმისადგომთან და ჩამოუარა ნაღმოსნებს, რომლებიც სამხრეთ ყურეში იდგნენ. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მეესალმა ნაღმოსანთა პირად შემადგენლობას და მიუღოცა მეზღვაურებს მეგობარ იუგოსლავიაში გამგზავრება. გაისმა მატროსთა მძლავრი „ვაშა!“. კატარღა გაემართა კრეისერ „კუიბიშევისაკენ“, რომლის გემბანზე ჩამწკრივდა ხომალდის ეკიპაჟი. ორ კაბელტოზე კატარღის მოახლოვებამდე მებუკენი უკრავენ შესვლას. მებუკეებს ცვლიან ორკესტრანტები, რომლებიც ასრულებენ შემხვედრ მარშს.

საპარადო ტრაპით მარშალი გ. კ. ჟუკოვი ადის ხომალდზე. გაისმის მორიგე ოფიცრის ბრძანება „სმენა!“. გროტსტენგზე აღიმართა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ალამი. ხომალდების რაზმის მეთაურმა კონტრადმირალმა ა. ნ. ტიუნიაევმა მოახსენა, რომ ხომალდები მზად არიან გასამგზავრებლად.

ხომალდის მეთაური პირველი რანგის კაპიტანი ვ. ვ. მიხაილინი აძლევს პატაკს: „ამხანაგო საბჭოთა კავშირის მარშალო! კრეისერ „კუიბიშევის“ ეკიპაჟი დაწყობილია შესახვედრად.“

ამხ. გ. კ. ჟუკოვმა ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს. ხომალდის ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს. შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი გაემართა პირადი შემადგენლობისაკენ. მისალმების პასუხად გაისმა ხმამაღალი: „გაგიმარჯოთ, ამხანაგო საბჭოთა კავშირის მარშალო!“

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები გააცილეს: სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის მოადგილემ ადმირალმა ა. გ. გოლოვკომ, შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ადმირალმა ვ. ა. კასატონოვმა, უკრაინის კომუნისტური პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გ. კომიახოვმა, ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. მ. ფილიპოვმა და სხვებმა.

ხომალდებმა ღუზა აუშვეს და გავიდნენ სევასტოპოლის ყურიდან. ყურეში მდგომ ხომალდებზე და სანაპირო საგუშაგოებზე აღიმართა სიგნალები „გისურვებთ ბედნიერ ნაოსნობას“. კრეისერ „კუიბიშევის“ მესიგნალეებმა პასუხად აღმართეს სიგნალი: „გმადლობთ კეთილი სურვილისათვის“.

გმირი ქალაქის ბევრი მცხოვრები მოვიდა ზღვისპირა ბულვარში ამხანაგ გ. კ. ჟუკოვის გასაცილებლად იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში.

საბჭოთა და გერმანელი ხალხების ურღვევი მეგობრობისათვის

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების ღღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო

საბჭოთა ადამიანები ფართოდ აღნიშნავენ ისტორიულ მოვლენას გერმანელი ხალხის ცხოვრებაში — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მერვე წლისთავს, რომელიც 7 ოქტომბერს სრულდება. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა მოსკოვში საზეიმო საღამო, რომელიც მოაწყეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ.

პოლიტექნიკური მუზეუმის დიდი დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული. აქ შეიკრიბნენ მოსკოვის საწარმოთა მუშები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

სტუმრებს შორის იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იოჰანეს კიონიგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ გერმანელ მეგობრებს.

საზეიმო საღამო გახსნა პროფესორმა ნ. ვ. პუხოვსკიმ.

სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრების იმ დელეგაციის მეთაურმა პ. გ. მოსკატოვმა, რომელიც ამას წინათ იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მან დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ, სამრეწველო საწარმოთა, კულტურულ დაწესებულებათა დათვალიერების შესახებ.

საღამოზე გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ნ. ჟუკოვ-ვერეჟნიკოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. ნ. სიმონოვი, პოეტი ე. ა. დოლმატოვსკი.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში იოჰანეს კიონიგმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან თქვა:

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მერვე წლისთავი დიდი დღესასწაულია ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მშრომელთათვის. იგი ნიშანსვეტია სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისათვის, მუშურ-გლეხური ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს, ეროვნული აღორძინებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ძალის ერთ-ერთი დიდი წყაროა ურღვევი მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან.

ელჩმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი მიმდინარე წლის აგვისტოში გადაიქცა ამ მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად და ამავე დროს იყო საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი პოლიტიკური მოვლენა.

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, — ამბობს შემდეგ ელჩი, — მთელი გერმანიის მომავალია, რადგან სოციალიზმს ეკუთვნის მომავალი.

დასასრულ ი. კიონიგმა გამარჯვება უსურვა ურღვევ მეგობრობას გერმანელ ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მთელი რიგი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შესაქმნელად.

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, სსრ კავშირში თანამგზავრთა პირველი გაშვება უნდა მომხდარიყო საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მეცნიერული კვლევის პროგრამის შესაბამისად.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების დიდი დაძაბული მუშაობის შედეგად **შეიქმნა** დედამიწის **ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც პირველია მსოფლიოში.** 1957 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირში მოხდა პირველი თანამგზავრის წარმატებითი გაშვება. წინასწარი მონაცემებით, მატარებელმა რაკეტმა თანამგზავრს მისცა საჭირო ორბიტალური სიჩქარე დაახლოებით 8.000 მეტრი წამში. ამჟამად თანამგზავრი ელიფსურ ტრაექტორიებს შემოხაზავს დედამიწის გარშემო და მისი გაფრენა შეიძლება დავინახოთ ამომავალი და ჩამავალი მზის სხივებში უმარტივესი ოპტიკური ინსტრუმენტების (ბინოკლი, ჭოგრი და სხვ.) შემწეობით.

გაანგარიშების მიხედვით, რომელსაც ამჟამად აზუსტებენ პირდაპირი დაკვირვებით, თანამგზავრი ივლის დედამიწის ზედაპირიდან 900 კილომეტრამდე სიმაღლეზე; თანამგზავრის ერთი სრული ბრუნვის დრო იქნება 1 საათი და 35 წუთი. ეკვატორის სიბრტყეზე ორბიტის დახრის კუთხე უდრის 65°. ქალაქ მოსკოვის რაიონში 1957 წლის 5 ოქტომბერს თანამგზავრი გაივლის ორჯერ—ღამის 1 საათსა და 46 წუთზე და დილის 6 საათსა და 42 წუთზე მოსკოვის დროით. სსრ კავშირში 4 ოქტომბერს გაშვებული პირველი ხელოვნური თანამგზავრის შემდგომი მოძრაობის შესახებ ცნობებს რეგულარულად გამოაქვეყნებენ ფართო მაუწყებლობის რადიოსადგურები.

თანამგზავრს აქვს 58 სანტიმეტრი დიამეტრის და 83,6 კილოგრამი წონის ბურთის ფორმა. თანამგზავრზე დგას 2 რადიოგადამცემი, რომლებიც განუწყვეტლივ გამოასხივებენ 20.005 და 40.002 მეგაგერცის (ტალღის სიგრძე დაახლოებით 15 და 7,5 მეტრი შესაბამისად) სიხშირის რადიოსიგნალებს. გადამცემთა სიმძლავრე უზრუნველყოფს იმას, რომ რადიოსიგნალები კარგად მიიღოს რადიომოყვარულთა ფართო წრემ. სიგნალებს აქვთ ტელეგრაფის გადაცემათა სახეობა. მათი ხანგრძლივობაა დაახლოებით 0,3 წამი, ასეთივე ხანგრძლივობის პაუზით. ერთი სიხშირის სიგნალის გადაცემა ხდება მეორე სიხშირის სიგნალის პაუზის დროს.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა პუნქტში განლაგებული სამეცნიერო საადგურები აწარმოებენ თანამგზავრის დაკვირვებას და განსაზღვრავენ მისი ტრაექტორიის ელემენტებს. რადგან ატმოსფეროს გათხელებული ზედა ფენების სიმკვრივე ნამდვილად ცნობილი არ არის, ამჟამად არ არის მონაცემები იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს თანამგზავრის არსებობის დრო და ატმოსფეროს მკვრივ ფენებში მისი შესვლის ადგილი. გაანგარიშებამ ცხადყო, რომ თანამგზავრის უდიდესი სიჩქარის გამო იგი თავისი არსებობის დასასრულს დაიწვის, როცა მიაღწევს ატმოსფეროს მკვრივ ფენებს რამდენიმე ათეული კილომეტრის სიმაღლეზე.

რუსეთში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დამლევს გამოჩენილი მეცნიერის კ. ე. ციოლკოვსკის შრომებით პირველად იქნა მეცნიერულად დასაბუთებული, რომ შესაძლებელია განხორციელდეს კოსმოსური ფრენა რაკეტების საშუალებით.

დედამიწის იმ პირველი თანამგზავრის წარმატებითი გაშვებით, რომელიც ადამიანმა შექმნა, დიდი წვლილია შეტანილი მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში. მეცნიერულ ექსპერიმენტს, რომელიც ასეთ დიდ სიმაღლეზე ხორციელდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოსმოსური სივრცის თვისებათა შეცნობისათვის და დედამიწის, როგორც ჩვენი მზის სისტემის პლანეტის, შესწავლისათვის.

საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში განახორციელოს დედამიწის კიდევ რამდენიმე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება. ამ მომდევნო თანამგზავრებს ექნებათ გადიდებული გაბარიტი და წონა და მათზე შესრულდება მეცნიერული კვლევის ფართო პროგრამა.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები გზას გაუკაფავენ საპლანეტთაშორისო მოგზაურობას და, როგორც ჩანს, ჩვენი თანამედროვეები იმის მოწმენი გახდებიან, თუ როგორ აქცევს რეალობად კაცობრიობის უაღრესად გაბედულ ოცნებას ახალი, სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა განთავისუფლებული და შეგნებული შრომა.

ახალციხის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა, ასრულებენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, 1 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა.

რაიონმა ხორცის დამზადების გეგმა შეასრულა 105,8 პროცენტით, რძისა — 101,7 პროცენტით, კვერცხისა — 147 პროცენტით.

რძე სახელმწიფოს ჩაბარდა 4.851 ცენტნერით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. (საკდესი).

ჯყიბულის რაიონმა ხორცის, კვერცხისა და ხილის დამზადების გეგმა შეასრულა

ტყიბულის რაიონმა 1 ოქტომბრისათვის ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა ხორცის, კვერცხისა და ხილის დამზადებისა და შესყიდვის წლიური სახელმწიფო გეგმა.

რაიონმა ხორცის დამზადების წლიური გეგმა ამ თარიღისათვის შეასრულა 101,4 პროცენტით, კვერცხისა — 100,6 პროცენტით, ხილისა — 123,1 პროცენტით. (საკდესი).

დუშეთის რაიონმა მატყლის დამზადების გეგმა შეასრულა

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1 ოქტომბრისათვის 106 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების სახელმწიფო გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 3.118 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა 3.319 ცენტნერი მატყლი.

მატყლის დამზადება რაიონში გრძელდება. (საკდესი).

მარნეულის რაიონმა შეასრულა ეთერზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმა

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ეთერზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 995 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 1,060 ტონა ეთერზეთოვანი კულტურები.

ეთერზეთოვანი კულტურების დამზადება გრძელდება. (საკდესი).

თეძჯოლის რაიონმა შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა

თეძჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა 4 ოქტომბრისათვის შეასრულეს ყურძნის დამზადების წლიური გეგმა. ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 5.230 ტონის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს კიდევ 700 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. (საკდესი).

იაკუტი ხალხის ეროვნული დღესასწაული

იაკუტსკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ახლოვდება დიდი ეროვნული დღესასწაული — რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იაკუტიის შესვლის 325 წლისთავი. მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას მათი მშობლიური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ხადღესასწაულოდ მორთეს ქალაქები და სოფლები. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში იმართება საზეიმო კრებები, მიტინგები, საღამოები. გაზეთები და რადიო იუწყებიან შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია სოციალისტურ შეჯიბრებაში იაკუტიის ეროვნული დღესასწაულისა და დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის წინ.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლობანოვი, რუსეთის სფსრ მთავრობის დელეგაცია, რომელსაც რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბესპალოვი მეთაურობს, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ და მთელი რიგი ოლქების დელეგაციები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო!

ჩვენ ვიმყოფებით საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის წინ, რევოლუციისა, რომლითაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში. ამ თარიღს ჩვენი სახელოვანი ხალხი ხვდება ჭეშმარიტად დიდი მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩვენ ახლა ვაჯამებთ ჩვენს შესანიშნავ მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში. მომავალი წლის მარტში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ღირსეულად უნდა ვუჩვენოთ ქართული სოციალისტური კულტურის საუკეთესო მიღწევები. ყოველივე ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს ხალხს, ჩვენს სახელოვან შემოქმედებითს ინტელიგენციას.

და აი, ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოგიწვიოთ თქვენ, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და გესაუბროთ გულახდილად, გესაუბროთ ჩვენს წარმატებებსა და მიღწევებზე, ჩვენს ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე, იმაზე, თუ რა უშლის ხელს ჩვენი მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეების შემოქმედებითი ძალებისა და შესაძლებლობათა სრულ გამოვლინებას, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთ ჩვენი მუშაობა, რათა ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სახელოვან წლისთავს და მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე ჩავატაროთ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ გულახდილად, პრინციპულად, საბჭოურად, პარტიულად.

ლიტერატურა და ხელოვნება ხალხის იდეური აღზრდის მძლავრი იარაღია. აი ამიტომ, შევდგიართ რა დეკადისათვის მზადების გადამწყვეტ ეტაპში, ჩვენ გულდასმით და მომთხოვნელად უნდა გავუკეთოთ ანალიზი მდგომარეობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში, დავემყაროთ იმ დიად ამოცანებს, რომლებსაც ახლა წყვეტს ჩვენი ხალხი, და იმ უმნიშვნელოვნეს მოთხოვნებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია უყენებს იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკს.

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანას ახლა აქვს ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადებში გადაჭრას სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დაეწიოთ და გავუსწროთ. ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ჩვენი ინდუსტრია მტკიცედ მიდის აღმავლობის გზით, აძლიერებს წარმოების ტემპს.

მნიშვნელოვანია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელთა გამარჯვებანი. ჩვენმა ქვეყანამ შარშან ისეთი მოსავალი აიღო, როგორიც არასოდეს არ აუღია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. 1953 წელს მთლიანად საბჭოთა კავშირში დამზადდა 2 მილიარდ 10 მილიონი ფუთი პური. ხოლო 1956 წელს მარტო ორმა რესპუბლიკამ — რუსეთის ფედერაციამ და ყაზახეთმა — ჩვენს ქვეყანას მისცა 3 მილიარდ ფუთზე მეტი პური. ვიღებთ სასიხარულო ცნობებს ჩვენი სოფლის მეურნეობის წლევანდელ მიღწევებზე. ყველამ სიამაყით წავიკითხეთ ცნობა იმის შესახებ, რომ წელს, წინასწარი მონაცემებით, მარტო უკრაინამ სახელმწიფოს ჩაბარა 400 მილიონი ფუთი მარცვლეული.

უკანასკნელი წლების ეკონომიურმა წარმატებებმა საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას განეხორციელებინა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი საქმიანობის უმაღლესი კანონია. ამით არის გამსჭვალული სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს, რომელმაც განიხილა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მომწიფებული საკითხები.

ამხანაგებო! პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელება, ჩვენი ქვეყნის მიღწევები სახალხო მეურნეობის განვითარებაში, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში შესაძლებელი გახდა ხალხის მასების გმირული შრომითი ღონისძიებების მეოხებით.

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობა განპირობებულია ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების თვით ბუნებით, წყობილებისა, რომელმაც პირველად ისტორიაში გადაჭრა ნამდვილი დემოკრატიის ძირითადი საკითხი — სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სახელმწიფოს მმართვაში მშრომელთა მილიონიანი მასების ნამდვილი და გადამწყვეტი მონაწილეობის საკითხი.

საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ნამდვილი ხალხური ხასიათის გამოხატულებაა ეროვნული საკითხის წარმატებით გადაჭრა სსრ კავშირში. იმ ქვეყანაში, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ გათიშული ხალხები, დამკვიდრდა მტკიცე, ურღვევი მეგობრობა, სოციალისტური ერების ძმური ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა. ამ მეგობრობას საფუძვლად უდევს როგორც დიდი, ისე პატარა ხალხების თანასწორუფლებიანობის, თავისუფალი და სუverენული ეროვნული განვითარების დიადი ლენინური პრინციპები.

საბჭოთა წყობილების ნამდვილად ხალხური, ნამდვილად დემოკრატიული ხასიათი მკაფიოდ იჩენს თავს როგორც საშინაო მშენებლობაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი გაბედული და დადამწყვეტი აქციები საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, რის შედეგადაც ახალი ომის საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ იმპერიალისტებს ხელს არ აძლევს ისტორიული განვითარების მსვლელობა, და ისინი ცდილობენ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი. მათ გააჩაღეს აგრესია ეგვიპტეში, მოაწყეს კონტრრევოლუციური ამბოხება უნგრეთში, ცდილობდნენ გადატრიალება მოეწყოთ პოლონეთში. ამერიკის მმართველ წრეებს არათუ ხელი არ აუღიათ თავიანთ მთავარ მიზანზე — მთელი ძალებით და ყოველგვარი საშუალებით შეარყიონ სოციალისტური ქვეყნების მონოლითური ერთიანობა, არამედ ჯიუტადაც განაგრძობენ სხვადასხვა პროვოკაციის მოწყობას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის თანაარსებობა და შეჯიბრება მშვიდობიანი, იდილიური ცხოვრება კი არ არის, არამედ ბრძოლაა — ეკონომიური, იდეოლოგიური ბრძოლა, ბრძოლა სულ სხვადასხვა, ზოგჯერ მწვავე, ფორმით. ჩვენ, მარქსისტებს, კომუნისტებს, არ შეგვშვენის წვრილბურჟუაზიული ილუზიები ამ საკითხში.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ უმძიმეს ბრძოლაში მოვიპოვეთ მშვიდობიანი თანაარსებობის უფლება. ლენინი ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენ ამავე დროს უადრესად მერყევი წონასწორობა გვაქვს და ამიტომ ბუდამ მზად უნდა შევხვდეთ სხვადასხვა პროვოკაციას. პარტიის XX ყრილობამ წამოაყენა თეზისი ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ და ამავე დროს მოუწოდა საბჭოთა ადამიანებს უდიდესი სიფხიზლისაკენ. უკანასკნელი თვეების ამბებმა დაადასტურეს ამ დებულებათა უდიდესი სისწორე. ამ ამბებმა ბევრი რამ ასწავლეს ამხანაგებს, რომლებიც თეზისიდან იმის შესახებ, რომ არ არსებობს ომის ფატალური გარდუვალობა, აკეთებდნენ ობივატელურ-მეშჩანურ დასკვნებს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ.

ამხანაგებო, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი იდეოლოგია ვერ შეურიგდება რაიმე სახეობის ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როცა მსოფლიო გათიშულია ორ ბანაკად. შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებით მწვავდება იდეოლოგიური ბრძოლა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქ, სადაც ცუდად არის დაყენებული იდეოლოგიური მუშაობა, იქმნება ხელსაყრელი პირობები ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამხრწნელი ზემოქმედებისათვის, ზოგიერთი მერყევი ელემენტის შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების გამოცოცხლებისათვის. ამ გადმონაშთებს აღვივებს საზღვარგარეთის რეაქციული პროპაგანდა.

* * *

ჩვენი წარმატებითი წინსვლის გადამწყვეტი პირობაა მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდა, დაუცხრომელი ზრუნვა მასების სოციალისტური შეგნების დონის ამაღლებისათვის.

ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი პარტია აწარმოებს ძველი სამყაროს დრომოჭმული იდეებისა და წარმოდგენების წინააღმდეგ, კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის, დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს სახელოვან საბჭოთა ინტელიგენციას, რომელიც საბჭოთა ხალხის სისხლი და ხორცია. საბჭოთა ინტელიგენცია მთელი თავისი მოღვაწეობით, თავისი ინტერესებით, ფიქრებითა და მისწრაფებებით განუყრელად დაკავშირებულია მუშათა კლასთან და მშრომელ გლეხობასთან, იგი შეიარაღებულია ყველაზე მოწინავე და ნამდვილად მეცნიერული მსოფლმხედველობით — მარქსიზმ-ლენინიზმით, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით.

ჩვენ მუდამ უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი ინტელიგენციის — მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა იდეური დონის ამაღლებისათვის, მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის მთელი იდეური სიმდიდრის ათვისებისათვის. ი. ბ. სტალინი ამბობდა: არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ.

ჩვენს რესპუბლიკას სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი შესანიშნავი, მაღალკვალიფიციური, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის ერთგული ინტელიგენციით. ჩვენი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალრიცხოვანი სპეციალისტები, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების მუშაკები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების მრავალათასიანი რაზმები ძალების დაუზოგავად შრომობენ მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისათვის, ჩვენი შეასანიშნავი შრომისმოყვარე ხალხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

საქართველოში გაიზარდნენ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების — ინჟინრების, პედაგოგების, ექიმების, აგრონომების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები. ჩვენში არ არის სახალხო მეურნეობის არცერთი დარგი, რომლისთვისაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სპეციალური სასწავლებლები არ ამზადებდნენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. არსებული მონაცემებით, 1956 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ათას მოსახლეზე მოდიოდა უმაღლესი განათლების მქონე 14 კაცი. ეს სამნახევარჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთში, ოთხჯერ მეტი ვიდრე ინგლისში, ხოლო თუ შევადარებთ ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის თურქეთი და ირანი, დავინახავთ, რომ ამ მხრივ საქართველომ გაუსწრო თურქეთს 10-ჯერ, ხოლო ირანს 50-ჯერ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ჩვენში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა 19 უმაღლესი სასწავლებელია. წინათ ჩვენში არ ყოფილა არც ერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ახლა ჩვენში არის მეცნიერებათა აკადემია 50-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტითა და დაწესებულებით, აგრეთვე მრავალი დარგობრივი სამეცნიერო დაწესებულება. ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ მარშან ჩვენში გაიხსნა ხუთი ახალი დიდი სამეცნიერო დაწესებულება, რომლებშიც დასაქმებული იქნება უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სამი ათასზე მეტი მეცნიერი და სპეციალისტი. მომავალი, 1958 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაიხსნება ახალი ინსტიტუტები: პალეოგრაფიის ინსტიტუტი, კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი, ბათუმის ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ეკონომიკის ინსტიტუტი. საქართველოს მეცნიერულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იქნება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის დაარსება ჩვენში.

აი მეცნიერებისა და კულტურის განვითარების რა მძლავრი ბაზა შეგვიქმნა ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებამ, ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევმა მეგობრობამ და ურთიერთ უანგარო დახმარებამ. ყოველივე ეს სიამაყითა და მადლობით აღავსებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გულს, რომლებიც თავიანთი პატიოსანი შრომით დღითიდღე ამრავლებენ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებასა და დიდებას.

* * *

ჩვენი თათბირის ხასიათის მიხედვით ძირითადი ყურადღება უნდა დავუთმოთ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს.

კომუნისტური პარტია დიდად აფასებს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ როლს ახალი ადამიანის აღზრდაში, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ამას მოწმობს ჩვენი პარტიის მთელი პოლიტიკა, ამის საუკეთესო დადასტურებაა ის ამოცანები, რომლებიც მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს დაუსახა სკკპ ისტორიულმა XX ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებმა „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“, რომლებიც ამას წინათ გამოქვეყნდა პრესაში. ეს დოკუმენტი ნამდვილი საბრძოლო პროგრამაა ყველა საბჭოთა მწერლისა და კულტურის მოღვაწისათვის. მასში ნათლად არის გაშუქებული ბევრი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლებშიც ამ ბოლო დროს ცოტა არევდარევა როდი შეიტანეს, მასში მკაფიოდ არის განსაზღვრული მთავარი ამოცანა, რომელიც დგას ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწის წინაშე — ჩვენი სოციალისტური კულტურის განვითარების მთავარი ხაზი. „განვითარების მთავარი ხაზი კი ის არის, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რომ ლიტერატურა და ხელოვნება მუდამ განუყრელად იყონ დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მართლად ასახავდნენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრესა და ბრავალფეროვნებას, მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებდნენ საბჭოთა ხალხის დიდ გარდამქმნელ საქმიანობას, მის მისწრაფებათა და მიზანთა კეთილშობილებას, მაღალ მორალურ თვისებებს. ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულებაა ხალხის დარაზმვა კომუნიზმის მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად“.

ამ საპატიო ამოცანის შესრულება შეუძლებელია, თუ არ იქნა პრინციპული და თანმიმდევრული ბრძოლა სხვადასხვაგვარი იდეოლოგიური დამახინჯების, უცხო იდეოლოგიური გავლენების, გარედან მტრული გამოხდომების და ჩვენი ცალკეული შემოქმედებითი მუშაკების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გადაიყვანონ ლიტერატურა და ხელოვნება ყალბ გზაზე, დაამორონ ისინი მთავარ ამოცანებს.

ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებებით ჩვენი ახალი სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრების საბრძოლო პათოსით უნდა იყოს გამსჭვალული კულტურული ფრონტის მოღვაწეთა მთელი შემოქმედება.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, უვარგისი საშუალებებით იმის მტკიცების ცდა იქნებოდა, რომ ამით პარტია თითქოს მოუწოდებს ცალმხრივად ასახონ ცხოვრება, მიჩქმალონ ნაკლოვანებები და მინუსები, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს. კომუნისტებს ვერავინ ვერ დასდებს ბრალად, რომ მათ ამნებით კრიტიკა, რომ ისწრაფვიან მიჩქმალონ და დამალონ ნაკლოვანებანი. კომუნისტური პარტიის მთელი პოლიტიკა ამის უაღრესად მკაფიო დადასტურებაა. მტკიცე სულისკვეთებით, გაბედული და პირდაპირი კრიტიკითა და თვითკრიტიკით იყო გამსჭვალული პარტიის XX ყრილობის მთელი მუშაობა. ასეთივე კრიტიკული, მაგრამ ამავე დროს კონსტრუქციული, შემოქმედებითი სულისკვეთებით არის გამსჭვალული პარტიის ყველა შემდგომი გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში, ჩვენი სახალხო მეურნეობის მართვის დარგში. მაგრამ როგორ განსხვავდება ეს გადაწყვეტილებები მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ტიპის გაკოტრებული მოღვაწეებისა უპერსპექტივო კრიტიკანობისაგან, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და კრიტიკანობას მიმართავდნენ ყოველი ჩვენი ახალი, წინგადადგმული ნაბიჯის წინააღმდეგ, ებღაუჭებოდნენ დროებით სიძნელეებს, არ ხედავდნენ განვითარების პერსპექტივებს!

სამწუხაროდ, არაპაწორი პოზიცია დაიკავა ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგიერთმა მუშაკმაც, რომლებიც ღრმად არ იცნობენ, ცხოვრებას, აპყვებიან ხოლმე პანიკურ და ლიკვიდატორულ განწყობილებებს. „მთელი საკითხი ის არის, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — თუ რა პოზიციიდან და რისთვის წარმოებს კრიტიკა. ჩვენ ვამყოფავნებთ და ვაკრიტიკებთ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ისინი, როგორც დაბრკოლება ჩვენს გზაზე, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა წყობილება, კომუნისტური პარტიის პოზიციები, უზრუნველყოთ ახალი წარმატებანი და უფრო სწრაფი წინსვლა. ხოლო რა მოსდის ზოგიერთ ლიტერატორს, როცა იგი ხელს კიდებს ნაკლოვანებათა გაკრიტიკებას? ცხოვრებას რომ არ იცნობენ, საჭირო პოლიტიკური გამოცდილება, ცხოვრებაში მთავარისა და განმსაზღვრელის დანახვის უნარი რომ არა აქვთ, ისინი ებღაუჭებიან ამა თუ იმ მუშაკის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, განურჩევლად და გაუაზრებლად ყრიან ყველაფერს ერთ გოდორში, აშინებენ თავიანთ თავს და ცდილობენ დააშინონ სხვები“.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებას ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის განუყრელი კავშირის შესახებ, იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ერთმანეთს დაუპირდაპიროთ პარტიულობისა და ხალხურობის ცნებები. ხოლო არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ ჩვენშიც ხომ აღმოჩნდნენ ისეთი ჭკუის კოლოფები, რომლებიც იბრძოდნენ ვითომდა ხალხური ხელოვნებისათვის, პარტიულობისაგან, ან როგორც ისინი უფრო ხშირად ამბობენ, „პარტიული მეურვეობისაგან“ თავისუფალი ხელოვნებისათვის.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს, შეადგენს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სასიცოცხლო საფუძველს. და რომ ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს საბჭოთა პირობებში შეიძლება ემსახურო ხალხს და აქტიური მონაწილეობა არ მიიღო კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. „შეუძლებელია გსურდეს ხალხთან ერთად იარო ისე, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რომ არ იზიარებდე პარტიის შეხედულებებს, მის პოლიტიკურ ხაზს. ვისაც სურს ხალხთან იყოს, იგი მუდამ იქნება პარტიასთან. ვინც მტკიცედ დგას პარტიის პოზიციებზე, ის მუდამ იქნება ხალხთან“.

ეს არის პარტიულობის, ხალხურობის, აგრეთვე სოციალისტურ საზოგადოებაში შემოქმედების ნამდვილი და არა მოჩვენებითი თავისუფლების ლენინური გაგების არსი.

* * *

ამხანაგებო!

ეროვნული რესპუბლიკების ერთიან ოჯახში წარმატებით ვითარდება ქართული ლიტერატურა და ხელოვნება.

ჩვენი პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების ნაწარმოებნი, რომლებიც შექმნილია უკანასკნელ 20 წელიწადში, ე. ი. მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადის შემდეგ, სრულ საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ჩვენი მწერალთა საზოგადოებრიობა ღირსეულად გაამართლებს თავისი ხალხის ნდობას. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შესანიშნავი პოეტების გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, დიმიტრი გულიას, ირაკლი აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის, აღიო მირცხულავას, კარლო კალაძის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, რევაზ მარგიანის, რევაზ ასავეის, გაფეზის, ფრიდონ ხალვაშის და სხვათა ლექსები ღირსეულად იჟღერებენ საკავშირო შემოქმედებითი ტრიბუნიდან. ქართველი პოეტების უფროსი თაობის წარმომადგენელთა მხარდამხარ ივლიან ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები.

უკანასკნელ 2-3 წელიწადში გამოჩნდა ახალი რომანები: შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“, ლ. ქიაჩელის „მთის კაცი“, კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, ა. ბელიაშვილის „ულელტეხილზე“, ა. ქუთათელის „პირისპირ“, თ. დონეაშვილის „ალაზანზე“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, ო. ჩხეიძის „ჯებირი“, ი. ლისაშვილის „ერთგულება“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენი პროზაიკოსები დეკადაზე ცარიელი ხელით როდი წავლენ. ჩვენს პატივცემულ პროზაიკოსებს ა. ბელიაშვილს, კ. ლორთქიფანიძეს, დ. შენგელაიას, ა. კლდიაშვილს, ა. ჭეიშვილსა და სხვებს, რომ შეესრულებინათ თავიანთი არაერთგზისი დაპირება დეკადისათვის ახალი რომანების დამთავრების შესახებ, ეს სია უფრო სრული და საფუძვლიანი იქნებოდა.

მართალია, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ყველა ნაწარმოები როდი დგას ჯეროვან იდეურ-მხატვრულ დონეზე, მაგრამ ისინი მაინც მოწმობენ უკანასკნელ პერიოდში ქართული პროზის უდავო აღმავლობას.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუს ლიტერატორებთან მეგობრობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის მეოხებით თითქმის ყველა ჩვენი საუკეთესო ნაწარმოები თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე და ფართოდ ცნობილია ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

მაგრამ ეს როდი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ჩვენს ლიტერატურულ ფრონტზე ყველაფერი წესრიგზეა, რომ განვლო მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ხანამ.

ამ ბოლო დროს ბურჟუაზიულ პრესაში, ხოლო ზოგჯერ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ცალკეულ ლიტერატორთა გამოსვლებშიც იერიში მიჰქონდათ საბჭოთა ლიტერატურის ძირითად პრინციპებზე. პიროვნების კულტისა და „სტალინიზმის“ კრიტიკის ალმით ცდილობდნენ წაშალათ და სახელი გაუტეხათ ჩვენი ხელოვნების განვითარების მთელი გამოცდილებისათვის. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ყველა ეს უმეცარი გამოსვლა ნაწილია საერთო კამპანიისა, რომელიც მიმართულია სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ხოლო ჩვენი ხელოვნების კრიტიკის საბაბით ხშირად ცდილობენ სახელი გაუტეხონ მთელ საბჭოთა საზოგადოებას, მთელ სოციალისტურ სისტემას, დაამტკიცონ, რომ იგი თითქოს ემტერება შემოქმედებას, ხელს უშლის ნიჭის ნამდვილ განვითარებას.

უნდა ითქვას, რომ ამ მტრული მსჯელობის გამოძახილი ზოგჯერ გაისმის ჩვენს საბჭოთა პრესაშიც, თავს იჩენს, ზოგჯერ შეუგნებლად, ცალკეული ლიტერატორების გამოსვლებში და უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის მდგომარეობაზე, ორიენტაციას უკარგავს პატიოსან მხატვრებს და ბოჭავს მათს შემოქმედებითს აქტივობას.

იდეური პოზიციების სიცხადე მხატვრული შემოქმედების აუცილებელი პირობაა. აი ამიტომ საჭიროა ვილაპარაკოთ ამის შესახებ ჩვენს თათბირზეც.

პირველი საკითხი, რომელსაც საჭიროდ მიმაჩნია აქ შევეხო, ეს არის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში პარტიის პოლიტიკის საკითხი.

აღიარებდა რა ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდეს საზოგადოებრივ-გარდამქმნელ მნიშვნელობას, კომუნისტური პარტია მუდამ წარმართავდა ჩვენი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების შემოქმედებითს მოღვაწეობას კომუნიზმის მშენებელი ხალხისადმი თავდადებული სამსახურის გზით.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წინაშე აყენებდა ამოცანებს, რომლებსაც განსაზღვრავდნენ იატორიული პირობები და კომუნიზმის მშენებლობის საარსებო ამოცანები.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს იდეოლოგიურ საკითხებზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საბჭოთა ხელოვნების ცხოვრებაში. მათში ჩამოყალიბებულია ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც წაყენებული აქვთ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს ჩვენს საზოგადოებაში.

აქვს თუ არა აქვს მნიშვნელობა ამ დებულებებს ლიტერატორებისა და ხელოვნების მოღვაწეების დღევანდელი მუშაობისათვის? დიახ, აქვს, უეჭველად აქვს!

ამ შესანიშნავ დოკუმენტებში განსახიერებულია პარტიის მრავალი წლის გამოცდილება მხატვრული შემოქმედების საქმის ხელმძღვანელობის დარგში. აი ამიტომ ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ცალკეულმა უპასუხისმგებლო ლიტერატორებმა მოურიდებლად ლანძღონ ეს დადგენილებანი, ამტკიცონ, რომ ისინი თითქოს წარმოშვა პიროვნების კულტმა, გამოხატავდნენ ერთი კაცის აზრს და ახლა უიმედოდ მოძველდნენ. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ეს მოლაყბენი ნებსით თუ უნებლიეთ საეჭვოდ ხდიან პარტიის ხაზის სისწორეს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, ილაშქრებენ ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ჩვენი პარტია, რომელიც ხელოვნებას განიხილავს, როგორც იდეური ზეგავლენისა და ხალხის აღზრდის მძლავრ საშუალებას, უარს ვერ იტყვის იდეოლოგიური მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვანი უბნის ხელმძღვანელობაზე.

ვ. ი. ლენინი, რომელმაც უძნელეს პირობებში შექმნა მონოლითური პარტია, არასოდეს არ მდგარა ლიტერატურის საქმეებში ჩაურევლობის პოზიციებზე, არამედ იგი მიიჩნდა საერთო პროლეტარული საქმის უმნიშვნელოვანეს ნაწილად, უწოდებდა მას „ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმის „პატარა ბორბალსა და ხრახნს“.

ილაშქრებდა რა წვრილმანი მეურვეობისა და რეგლამენტაციის წინააღმდეგ, ხელადებითი ადმინისტრირების წინააღმდეგ, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა კვალიფიციურ და სისტემატურ პარტიულ ზემოქმედებას ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პროცესზე. „თვითეულ მხატვარს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ...უფლება აქვს ეწეოდეს შემოქმედებას თავისუფლად, თავისი იდეალის თანახმად, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ, გასაგებია, ჩვენ კომუნისტები ვართ. ჩვენ გულხელდაკრეფილნი არ უნდა ვიდგეთ და საშუალებას არ უნდა ვაძლევდეთ ქაოსს საითაც უნდა განვითარდეს. ჩვენ სავსებით გეგმაშეწონილად უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამ პროცესს და ვაყალიბებდეთ მის შედეგებს“.

ჯერ კიდევ 1905 წელს სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ლენინმა ამხილა ბურჟუაზიულ-ანარქისტული წარმოდგენები მხატვრული შემოქმედების „აბსოლუტური თავისუფლების“ შესახებ, ცხადყო, რომ ამგვარი განცხადებანი ფარისევლურად ფარავენ ბურჟუაზიული ხელოვნების დამოკიდებულებას მოსყიდვაზე, ფარავენ იმას, რომ მას ინახავს ფულის ტომარა. ლენინი უფრო გვიანაც არაერთხელ ამხილებდა ყალბ მოწოდებებს „აბსო

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ასახვისაკენ, ცალკეული ლიტერატორების მისწრაფება წერონ. უწინარეს ყოვლისა, სინამდვილის ჩრდილოვან, უარყოფითის მოვლენებზე, კარგავენ რა ამასთანავე მთავარ პერსპექტივას, ივიწყებენ ჩვენი საზოგადოების განვითარების ძირითად ტენდენციას.

ზოგიერთი ამხანაგი ამტკიცებს, სიმართლის წერა იმას ნიშნავს, რომ ასახავდე უარყოფითს მოვლენებსა და ნაკლოვანებებს, ხოლო ვინც მიმართავს ჩვენი საზოგადოების დადებითს მოვლენებსა და რეალურ მიღწევებს, ის თავის შემოქმედებაში თითქოს უბრუნდება შელამაზებასა და უკონფლიქტობას.

ამ უცნაური თეორიის მიხედვით ნამდვილი გაბედულება მდგომარეობს მხოლოდ ნაკლოვანებების განხრახ ქექვაში. ცხოვრებაში ახლის ძიებას ფასი ეკარგება და სახელი უტყდება.

და ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთი მწერლის პროზაულ და დრამატულ ნაწარმოებებში გაჩნდა მახინჯების, არამზადების, შემგუებლებისა და გაიძვერების მთელი გალერია. ძნელი შესამჩნევი არ არის, ამხანაგებო, რომ ამგვარი ნაწარმოებების ავტორები ემყარებიან არა ცხოვრებას, არამედ სქემას, რომ ნამდვილი მხატვრული ასახვა ცხოვრებისა აქ იცვლება იაფფასიანი სენსაციურობითა და ზერელე მამხილებლობით.

ჩვენ ძალიან მოთმინებითა და გულმოდგინებით განვუმარტავდით ამ ამხანაგებს ასეთი ტენდენციების მავნეობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს: მახსოვს, როგორ მოვიწვიეთ ჩვენთან ცენტრალურ კომიტეტში მწერალი ვიქტორ გაბესკირია და შეეცადეთ გახგვემარტა მისთვის მავნე კონცეპცია მისი პიესისა „უფსკრულთან“, რომელიც არასწორად ასახავს ჩვენს სინამდვილეს. გაბესკირია მაშინ დაგვპირდა, რომ გაითვალისწინებდა ამ შენიშვნებს თავის ახალ ნაწარმოებთა შექმნის დროს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამხ. გაბესკირია დაკმაყოფილდა მხოლოდ სიტყვიერი დაპირებით, საქმით კი მის ახალ პიესაში — „გურიის მთები დაუთოვია“ იგი კიდევ უფრო აღრმავებს წინანდელ შეცდომებს და კვლავ იცავს თავის არასწორ პოზიციებს.

ეს უმართებულო ტენდენციაა, რომელსაც ჩვენი მხატვრები მიჰყავს შორს ცხოვრების მთავარი ამოცანებისაგან, იმისაგან, რომ იცავდნენ სოციალისტური რეალიზმის ძირითად პრინციპებს, რომელიც გულისხმობს რევოლუციურ განვითარებაში სინამდვილის ისტორიულ კონკრეტულ ასახვას, მოითხოვს იმის ნათელ გაგებას, თუ საით მიდის ცხოვრება, თუ რა ძალები იმარჯვებენ ცხოვრებაში.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება უნდა ამკვიდრებდეს ჩვენი საზოგადოების საფუძვლებს, უნდა იყოს ჩვენი წყობილების სულიერი მტკიცე საძირკველი. როგორ უნდა მოვიქცეთ უარყოფითი მოვლენების ასახვისას? — შეაძლოა შეგვეკითხონ ამხანაგები. უარყოფითს მოვლენებს უნდა მივუდგეთ ისევე, როგორც მათ ჩვენ ვუდგებით ცხოვრებაში — თანმიმდევრულად ვდევნით რა ცხოვრებიდან ყოველივე იმას, რაც დამპალი და მავნეა, გასაქანს არ ვაძლევთ რა კარიერისტებსა და არამზადებს, ბიუროკრატებსა და მუქთახორებს, იმ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან სხვის უბედურებაზე აშენონ თავიანთი პირადი კეთილდღეობა. მხოლოდ საჭიროა, რომ ეს კრიტიკა იყოს პერსპექტიული და ქმედითი, რომ იგი მიმართული არ იყოს ჩვენი საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ, არამედ განამტკიცებდეს მათ, რომ იგი არ ეშვებოდეს ადამიანების ხელაღებით გაბიაბრუებასა და სახელის გატეხამდე.

როცა ჩვენ ამ თვალსაზრისით შევხედავთ თანამედროვე ქართული ლიტერატურის მდგომარეობას, თვალნათლივ დავინახავთ, თუ რა ბევრია ჯერ კიდევ აქ გადაუწყვეტელი ამოცანები.

ჩვენ ხშირად უფერულად, უსუსური და მკრთალი ენით ვლაპარაკობთ ჩვენს ადამიანებზე, რომლებიც ღირსნი არიან გმირული სიმღერისა და მონუმენტური ეპოპეისა. მეორე მხრივ, განა ჩვენში ბევრია ისეთი ნაწარმოები, სადაც ბოლშევიკური მგზნებარებით და ნამდვილი მხატვრული სიმახვილით ამხილებდნენ და დასცინოდნენ უარყოფითს მოვლენებს, ყოველივე იმას, რაც ხელს გვიშლის კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით ვიაროთ წინ, კომუნიზმისაკენ?

ამასთან მე მინდოდა მეთქვა ჩვენი შემოქმედებითი მუშაკებისათვის იმ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე, რაც აკისრიათ მათ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

ჩვენ გვეზრდება შესანიშნავი ნიჭიერი და ცოდნისმოყვარე ახალგაზრდობა. ეს ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია, ამ ახალგაზრდობისათვის არის განკუთვნილი ჩვენი შრომა და ზრუნვა. ეს ახალგაზრდობა ჩვენი ხელოვნების ნაწარმოებებში ეძებს პასუხს ცხოვრების ამაღელვებელ კითხვებზე, მას სურს ჰპოვოს ამ ნაწარმოებებში მისაბაძი მაგალითი და ნიმუში, ჰპოვოს თავისი იდეალი.

ჩვენი ლიტერატურა ხშირად გვერდს უვლის ახალგაზრდობის ამ კანონიერ მოთხოვნილებებს, ხშირად უპასუხებს ამ მოთხოვნილებებს მშრალად, კაზიონურად, ფორმალურად და უსუსურად.

მეორე მხრივ, ხელოვნებას არ შეუძლია გვერდი აუაროს უარყოფითს მოვლენებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში — სხვის კმაყოფაზე ყოფნის გაწყობილებას, არასწორ დამოკიდებულებას შრომისადმი. ხელოვნების საშუალებებით უნდა ვებრძოლოთ უიდეობისა და აპოლიტიკურობის გაწყობილებას.

ჩვეის პოეზიაში უკანასკნელ ხანს გაისმის უიდეობისა და პესიმიზმის არაჯანსაღი ხმები. ბევრი პოეტი ჯერ კიდევ ვერა წერს ნამდვილად საჭირბოროტო საკითხებზე, აკლია აქტუალობა. როცა ეს საკითხი ისმება ჩვენს პარტიულ პრესაში, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა არასაკმაოდ კვალიფიციურად და ღრმად, ზოგიერთი მწერალი ყალყზე დგება: როგორ, თქვენ ლირიკის წინააღმდეგი ხართ? იმის წინააღმდეგი ხართ, რომ პოეზიაში აისახოს ადამიანის გრძნობები? სიყვარული? განცდები? არა, ამხანაგებო, ჩვენ ლირიკის წინააღმდეგი როდი ვართ. პირიქით, ჩვენ მოვუწოდებთ მწერლებს გახსნან მდიდარი სულიერი სამყარო ჩვენი თანამედროვე ადამიანისა, რომელსაც შეუძლია სიყვარულიც, ოცნებაც, ბუნების სილამაზით დატკბობაც. მაგრამ ლაპარაკი ამაზე ხომ არ არის, ლაპარაკია ისეთ ლექსებზე, რომლებშიც გამოსჭვივის დაცემულობის განწყობილება.

ჩვენი კრიტიკა ჯეროვან სიმაღლეზე რომ იდგეს, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები ჯეროვან წინაღმდეგობას რომ უწევდნენ ასეთ განწყობილებებს, ქართული საბჭოთა პოეზია ამით მხოლოდ მოიგებდა. მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ჯერ კიდევ კუდში მიჰყვებიან ლიტერატურულ მოვლენებს. ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს პრობლემური, პრინციპული სტატიები ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების შესახებ.

ლიტერატურული ჟურნალები და „ლიტერატურული გაზეთი“ ჯერ კიდევ განზე უდგანან ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის არსებითს ამოცანებს.

ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ ლიტერატურული კრიტიკა, გავხადოთ იგი უფრო მახვილი და პრინციპული, შეურიგებელი ლიტერატურული ცხოვრების ყველა უარყოფითი მოვლენისადმი. ეს დაეხმარება ჩვენს მწერლებს იდგნენ სოციალისტური ეპოქის ამოცანების სიმაღლეზე, უფრო ღრმად და მართლად ასახავდნენ ჩვენს სინამდვილეს.

ამხანაგებო! მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მომავალ დეკადასთან დაკავშირებით დიდი ამოცანები ისახება ჩვენი გამომცემლობების წინაშე. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ საქართველოს მწერალთა წიგნები თავის დროზე გამოვიდეს და სავსებით კეთილხარისხოვნად გამოიცეს.

იმედი გვაქვს, რომ დეკადისათვის მზადების ამ გადამწყვეტ პერიოდში ჩვენი ლიტერატორები გამოიჩენენ ნამდვილ შემოქმედებითს აქტივობას, ხოლო მწერალთა კავშირი გახდება ამ მუშაობის ნამდვილი ცენტრი და შტაბი.

* * *

ამხანაგებო! სახელოვანი და საბრძოლო გზა განვლო თავის განვითარებაში ქართულმა საბჭოთა თეატრალურმა ხელოვნებამ. საქართველოს 20 თეატრმა, სადაც ათასზე მეტი შეიქმედებითი მუშაკი შრომობს, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში შექმნა ბევრი სპექტაკლი, რომლებმაც ხალხის პატივისცემა და მაღალი აღიარება დაიმსახურეს. ჩვენს თეატრებს აქვთ დადგმები, რომელთა სახელი შორს გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ ჩვენი თეატრის შესანიშნავი ოსტატებით.

მაგრამ, ვხარობთ რა თეატრალური ხელოვნების წარმატებებით ჩვენს რესპუბლიკაში, არა ვმალავთ და არ უგულებელვყოფთ რა ამ წარმატებებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება გვაქვს.

ჩვენი თეატრების რეპერტუარში ბევრია რევოლუციამდელი რეპერტუარის წარმატებით დადგმული კლასიკური და სრულიადაც არა კლასიკური პიესა. ამ პიესების დადგმაზე ბევრი ფული იხარჯება, ამ დადგმებზე მუშაობენ მსახიობთა საუკეთესო ძალები. ყოველივე ეს, კაცმა რომ თქვას, კარგია, მაგრამ თეატრების ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი მოწოდებული არიან ახორციელებდნენ თავიანთ ძირითად ამოცანას — ასახავდნენ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს, დგამდნენ კარგ სპექტაკლებს თანამედროვე თემებზე. ამ ამოცანას კი ჩვენი თეატრები ჯერჯერობით სუსტად ასრულებენ. ეს იმის შედეგია, რომ თეატრალური ხელოვნების ხელმძღვანელები უღარდელ დამოკიდებულებას იჩენენ ამ უმნიშვნელოვანესი საქმისადმი. ჩვენ არც თუ ისე დარიბი ვართ საბჭოთა პიესებით, როგორც ეს შეაძლოა ვინმეს მოეჩვენოს.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ შესამჩნევია ჩვენი თეატრების ბარბაროსული დამოკიდებულება იმ პიესებისადმი, რომლებმაც თავის დროზე საბჭოთა მაყურებლის სიყვარული და აღიარება დაიმსახურეს, მაგრამ რომლებიც უცნობი არიან ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ და გადაჭრით უნდა გამოსწორდეს. საჭიროა, რომ პოლიკარპე კაბანაძის, შალვა დადიანის, სანდრო შანშიაშვილის და სხვების ცნობილი პიესები ახალი შემოქმედებითი ძალით აღიერდნენ დღევანდელი ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე. მაგრამ საქმე მარტო ამ პიესების მიჩქმალვა როდია, საქმე ის არის, რომ თანამედროვე ნაწარმოებებზე თეატრები მუშაობენ უსულგულოდ და უპასუხისმგებლოდ. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. ავიღოთ მ. ბარათაშვილის ცნობილი პიესა „ჭრიჭინა“. ეს პიესა თითქოს ცუდი არ არის, იგი იდგმებოდა და იდგმება მოსკოვში, ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში, საზღვარგარეთაც კი. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში კი ეს პიესა დაიდგა ისე ცუდად, რომ მალე მოიხსნა სცენიდან და ახლა იგი რეპუბლიკის არც ერთი თეატრის რეპერტუარში არ არის.

ამხანაგებო! ასე ჩვენ ვერ შევქმნით კარგ რეპერტუარს ჩვენი თეატრებისათვის. ჩვენ არ შეგვიძლია დავჯერდეთ მხოლოდ კლასიკური პიესების დადგმას. ამაზე სერიოზულად უნდა იფიქრონ კულტურის სამინისტრომ და რუსთაველის, მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრების ხელმძღვანელებმა. ამაზე უნდა იფიქრონ ჩვენმა დრამატურგებმაც.

რეპერტუარის შერჩევისა და განხორციელების საქმეში თეატრების დირექციისა და სამხატვრო ხელმძღვანელობის უფლებათა გაფართოება განამტკიცებს თეატრალური კოლექტივის ავტორიტეტსა და დამოუკიდებლობას. მაგრამ ამა თუ იმ დაწესებულების უფლებათა გაფართოება სულაც არ ნიშნავს ამ დაწესებულების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესუსტებას. მთელ რიგ შემთხვევებში ეს თავისუფლება ესმით, როგორც იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი თეატრების რეპერტუარში გააპარონ უფერული, იდეურად და მხატვრულად არასრულფასოვანი ნაწარმოებები. ხელოვნების საქმეთა სამმართველო და კულტურის სამინისტრო სრულიად ვერ უწევენ კონტროლს თეატრების სარეპერტუარო პოლიტიკას და თავიანთი ჩაურევლობით ფაქტიურად, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობენ ხალტურის დანერგვას.

საჭიროა, რომ თეატრების ხელმძღვანელებს სწორად ესმოდეთ თანამედროვე საბჭოთა თეატრის სასიცოცხლო მოთხოვნილებები და რომ ისინი სწორად იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს.

განა შესაწყნარებელია ის ფაქტი, რომ ახალ სეზონში უკვე ორი სპექტაკლი („ოქროს საწმისი“ ბათუმის თეატრში და „გურიის მთები დაუთოვია“ რუსთაველის სახელობის თეატრში) სუსტი, უფერული აღმოჩნდა. ისინი ვერაფერს ეუბნებიან საბჭოთა მაყურებელს ვერც იდეური, ვერც მხატვრული მხრივ.

კულტურის სამინისტრომ უმოკლეს ხანში ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას ერთ-ერთი უძველესი ქართული თეატრის — ქუთაისის მეხუთეშვილის სახელობის თეატრის მუშაობა. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ასეთი სახელოვანი ტრადიციების მქონე თეატრი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული თეატრალური ხელოვნების განთქმული ოსტატების ლადო მესხიშვილის, კოტე მესხის, კოტე მარჯანიშვილის, ალექსანდრე იმედაშვილისა და ბევრ სხვათა მოღვაწეობა, თეატრი, რომელსაც შეუძლია გაშალოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი საუკეთესო თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილ მაყურებელთან კონტაქტით, რომ ასეთი თეატრი განიცდიდეს შემოქმედებითს კრიზისს.

ნაკლები ყურადღება ექცევა მრზარდ მაყურებელთა თეატრებს, რომლებიც მოწოდებული არიან ემსახურონ ბავშვების ესთეტიკური აღზრდის კეთილშობილურ და უმნიშვნელოვანეს საქმეს. ამ თეატრების რეპერტუარში ყოველთვის ჯეროვნად როდია ასახული ბავშვთა აუდიტორიის მოთხოვნილებები. ხუმრობით იმასაც კი ამბობენ, რომ საჭიროა აფიშებზე ზოგიერთი პიესის სახელწოდების ქვეშ დაიწეროს: „ბავშვები 16 წლის ასაკამდე სპექტაკლზე არ დაიშვებიან“. ეს კი ხომ, უწინარეს ყოვლისა, საბავშვო თეატრია.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეროვნული რესპუბლიკების ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადები, რომლებიც მოსკოვში ეწყობა, მოჩვენებითი ხმაურისათვის ნავარაუდევი, პარადული ღონისძიება როდია, არამედ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა განვლილი ათეული წლების მუშაობის სერიოზული შემოქმედებითი ანგარიშია. ამიტომ საჭიროა მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მზადებას დეკადისათვის. მთელი ძალღონე, ენერგია და ინიციატივა მოვახმაროთ ამ საქმეს, მივაღწიოთ ერთსულოვნებას მუშაობაში, კოლეგიალობას, მუშაობის შეხმატკბილული, საქმიანი ატმოსფეროს შექმნას, შემოქმედებითს წვას.

* * *

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ კინოს, როგორც ხელოვნების ყველაზე მასობრივ და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სახეობას.

ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა კინოხელოვნების მატიანეში. მაგრამ პირველი დიდი წარმატებების შემდეგ დადგა ხანგრძლივი ემოქმედობის პერიოდი. გამოშვებული ფილმების რაოდენობა შემცირდა, მოცდენით კვალიფიკაციას კარგავდნენ კინომუშაკთა შემოქმედებითი და ტექნიკური კადრები. ფართოდ გავრცელდა თეორია მონუმენტური და მასშტაბური კინემატოგრაფისა, რომელიც უბრალო საბჭოთა ადამიანების მრავალფეროვანი სულიერი ცხოვრების ჩვენებას ცვლის ზეიმური და მდიდრული სახეობით.

ამ პერიოდის ფილმებში მახინჯდებოდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ისტორიის, მშვიდობიანი სოციალისტური შენებლობისა და დიდი სამამულო ომის რეალური ფაქტები, კნინდებოდა პარტიის, როგორც ხალხის ხელმძღვანელის მნიშვნელობა, კნინდებოდა ხალხის მასების როლიც.

ჩვენი პარტიის ბრძნულმა პოლიტიკამ, რომელმაც აშკარად და გაბედულად ამხილა წარსულის ნაკლოვანებები, აამოქმედა და გამოაცოცხლა ახალი შემოქმედებითი ძალები. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დიდ წარმატებებთან ერთად უკანასკნელი წლები აღინიშნა ქართული კინემატოგრაფიის გამოცოცხლებითა და ახალი აღმავლობით. ასრულებდა რა პარტიისა და მთავრობის დირექტივებს, მხატვრული ფილმების გამოშვების მკვეთრი გადიდების შესახებ, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ მნიშვნელოვნად გააჩაღა მხატვრული კინოსურათების წარმოება. გაფართოვდა პროდუქციის თემატიკა და ჟანრობრივი მრავალფეროვნება. ზოგიერთმა ამ ფილმმა დამსახურებული სახელი მოუხვეჭა სტუდიას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკების გაბედული დაწინაურება.

მაგრამ წარმატებებთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გამოშვებული ყველა ფილმი მაღალ დონეზე როდი დგას. ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ არ ჰყოფნის შემოქმედებითი გაბედულება და მხატვრული ორიგინალობა. ყველა ფილმში როდი იგრძნობა რეჟისორის ოსტატობა, ან ფილმის ლიტერატურული საფუძვლის — სცენარის მაღალი იდეურ-მხატვრული დონე.

საქართველოს მწერალთა კავშირი ჯერ კიდევ სუსტად ეხმარება კინოსტუდიას მაღალხარისხოვანი სცენარების მომზადებაში.

უფერული და უსახოა ჩვენი კინოკრიტიკა. მხატვრული ნაწარმოების ღრმა ანალიზის ნაცვლად ჩვენს რეცენზიებში ხშირად ვპოულობთ ზოგად მსჯელობებს კინოფილმის შინაარსის შესახებ.

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ დეკადის დღეებში მოსკოვში უჩვენონ ახალი მაღალიდეური და მაღალმხატვრული კინოსურათები.

* * *

ქართულმა საბჭოთა მუსიკალურმა ხელოვნებამ ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებთა წარმატება აიხსნება არა მარტო მათი პირადი ნიჭიერებითა და ოსტატობით, არამედ იმითაც, რომ ისინი თავიანთ შემოქმედებას ორგანულად უკავშირებენ ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნების ცხოველმყოფელ სათავეებს და კლასიკური მუსიკალური სკოლის საუკეთესო ტრადიციებს.

ა. ბალანჩივაძის, შ. მშველიძის, გ. კილაძის, ო. თაქთაქიშვილის, ა. მაჭავარიანის, დ. თორაძის, ს. ციხკაძისა და სხვათა მუსიკალური ნაწარმოებები შევიდნენ საბჭოთა კავშირის სიმფონიური და კამერული ანსამბლების რეპერტუარში; ეს ნაწარმოებები სრულდება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

თუ ჩვენს კომპოზიტორებს აქვთ მიღწევები ქართული მუსიკის ბევრ ჟანრში, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრის არსებითი ჩამორჩენა, როგორიც არის საოპერო ჟანრი.

ამ ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კომპოზიტორებთან მწერლების შემოქმედებითი განცალკევებულობა. ჩვენი წამყვანი დრამატურგები ვერ განიმსჭვალნენ სიყვარულით ხელოვნების ამ ჟანრისადმი, არ ესწრაფვიან იმას, რომ იმუშაონ ოპერის ლიბრეტოს შექმნაზე.

ოპერის თეატრის ხელმძღვანელები არ ცდილობენ მუდმივ სრულყოფდნენ და ინარჩუნებდნენ რეპერტუარში ჩვენი კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებებს. გაუგებარია, მაგალითად, რატომ არ არის საოპერო თეატრის რეპერტუარში შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“, ა. ანდრიაშვილის „აკაკი აჩაღი“, გ. კილაძის ბალეტი „სინათლე“, რომლებმაც თავის დროზე მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ამჟამად ზოგიერთი ჩვენი კომპოზიტორი მუშაობს ახალ საოპერო ნაწარმოებებზე დეკადისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი ყველაფერს გაკეთებენ დაწყებული საქმის წარმატებით დამთავრებისათვის.

საბჭოთა ეპოქამდე ბალეტი, როგორც დამოუკიდებელი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ჟანრი, საქართველოში არ არსებობდა.

ქართული ბალეტისა და პანტომიმის შექმნის ცალკეული ცდები წარუმატებელი აღმოჩნდა. მხოლოდ ა. ბალანჩივაძის ჰეროიკულ-რომანტიკულ ბალეტს „მთების გულს“ წილად ხვდა მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართული ბალეტისათვის. ამ დასაწყისის შემდგომი გაგრძელება იყო ქართული ბალეტები — გ. კილაძის „სიხათლე“, დ. თორაძის „გორდა“ და „მშვიდობისათვის“ და სხვ.

ეროვნული ბალეტის შექმნაში აქტიური როლი შეასრულა საბჭოთა ბალეტის გამოჩენილმა ოსტატმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ჭაბუკიანმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლილი გვარამაძემ და ფალიაშვილის სახელობის თეატრში აღზრდილმა საბალეტო ხელოვნების შესანიშნავმა ოსტატებმა ვ. წიგნაძემ, ზ. კიკალეიშვილმა, ი. ალექსიძემ, რ. მაღალაშვილმა, ე. გელოვანმა, ვ. გუნაშვილმა და სხვებმა.

უნდა აღინიშნოს ბრწყინვალე მიღწევები ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლებისა, ხალხური ცეკვის ანსამბლის შესანიშნავი ოსტატებისა, ანსამბლის, რომელსაც ი. სუხიშვილი და ნ. რამიშვილი ხელმძღვანელობენ. ამ ანსამბლმა, რომელიც ყველაზე უკეთესია საქართველოში ოდესმე არსებულ ანსამბლებს შორის, არაერთხელ ასახელა ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენმა წამყვანმა ქორეოგრაფებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ქართული ცეკვების ხალხური ფორმების შენარჩუნებას. სამწუხაროდ, ქართული ცეკვა კარგავს თავის ხალხურ სახეს, თავის ბუნებას და მახინჯდება იაფფასიანი ეფექტური ტრიუკებით. ამის წინააღმდეგ გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა მივიღოთ.

დიდი წარმატებით სარგებლობს აგრეთვე სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. მაგრამ ამ წარმატებებმა თავბრუ არ უნდა დაახვიოს ამ ნიჭიერი კოლექტივების ხელმძღვანელებს. ისინი გაბედულად უნდა ავსებდნენ თავიანთ რიგებს ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობებით და კიდევ უფრო ამაღლებდნენ თავიანთ ოსტატობას. ვლაპარაკობ რა ჩვენი ხალხის მუსიკალური ხელოვნების განვითარებაზე, მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ეროვნული მუსიკის ერთ დარგზე, რომლის ხანგრძლივი ჩამორჩენა შემდგომ ყოვლად შეუწყნარებელია. მხედველობაში მაქვს ქართული მასობრივი სიმღერა, რომელიც უნდა უპასუხებდეს მშრომელთა ფართო მასებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მზარდ მხატვრულ მოთხოვნილებებს.

ასეთი ნაწარმოებების უქონლობის შედეგად მოსდევს მეტად საამწუხარო მდგომარეობა, როცა ჩვენი ახალგაზრდობა, ისმენს რა უცხოეთის მუსიკალურ გადმოცემებს, ოცნიებს სახიზარო, გულის გამაწვრილებელ, დაცემულობის გამომხატველ, ჩვენი მუსიკალური. კულტურისათვის სრულიად უცხო მელოდიებს და ამ მელოდიებზე აწყობს ქართულ ტექსტებს და მღერის ახალგაზრდულ საღამოებსა და თვითმოქმედების კონცერტებზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთი ჩვენი კომპოზიტორი გულგრილად უყურებს ყოველივე ამას. ზოგიერთი მოხალტურე კი დახელოვნდა იმაში, რომ უცხო ორიგინალებზე აგებს ქართულ ტექსტებს, და კონცერტებზე, რადიოთი, საღამოებზე გაისმის დაუსრულებელი ერთფეროვანი ღმუილი, რასაც საერთო არა აქვს რა ჩვენს მდიდარ ეროვნულ მუსიკალურ მოტივებთან. საქართველოს ფილარმონია და კულტურის სამინისტრო გვერდს უვლიან ასეთ უმსგავსო მოვლენებს და ხშირად სრულიად არ ეხმაურებიან ამას. ჩემთვის, მაგალითად, გაუგებარია, ნუთუ ასე საჭირო იყო დაეშალათ მეჩონგურე ქალთა ერთადერთი ანსამბლი და შეექმნათ მეორე ჯაზი? ეს ხომ უპატივცემლობაა მუსიკალური კულტურის ხალხური ფორმებისადმი. ვინ არ იცის, რა პოპულარობით სარგებლობს საქართველოში ჩონგური. კულტურის სამინისტროს ალბათ მოუხდება იფიქროს ამაზე და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი კარგი წამოწყება, როგორიც არის მომღერალთა პატარა კოლექტივის „შვიდაკაცას“ შექმნა, რომელმაც სახელი გაუთქვა ჩვენს მუსიკალურ კულტურას VI მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში. ასეთი წამოწყებანი მაგალითი უნდა გახდეს ჩვენი ახალგაზრდობისათვის ქართული ხალხური სიმღერის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

* * *

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის მზადება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს მხატვრების მთელ შემოქმედებითს კოლექტივსაც. განვლილი 20 წლის მანძილზე ქართველ მხატვართა კოლექტივმა შეიძინა მდიდარი გამოცდილება, შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც დამსახურებულად მიეკუთვნებიან საბჭოთა სახვითი ხელოვნების საუკეთესო მიღწევებს.

ქართული სახვითი ხელოვნების ქმნადობის, სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების წარმატებანი მჭიდროდ დაკავშირებულია არა მარტო უფროსი თაობის გამოჩენილი ოსტატების გ. გაბაშვილის, ი. ნიკოლაძის, ა. მრევლიშვილის, მ. თოიძის, ი. შარლემანის, ა. ციმაკურიძის, ნ. კანდელაკის და სხვ. სახელებთან, არამედ საშუალო თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების უ. ჯაფარიძის, ა. ქუთათელაძის, ვ. თოფურიძის, თ. აბაკელიას და სხვ. სახელებთანაც.

ჩვენი მხატვრების ცხოვრებაში საინტერესო მოვლენა იყო ქართული სახვითი ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა. რა თქმა უნდა, შეიძლება ვიდავოთ ამ მხატვრის შემოქმედებითი მეთოდის ამა თუ იმ მოძღვრებებზე. მაგრამ ჩვენთვის ძვირფასია გუდიაშვილის საუკეთესო ნაწარმოებთა ცხოველმყოფელი საწყისი.

ძველ ოსტატებთან ერთად წარმატებით გამოდიან ახალგაზრდა მხატვრებიც. მხატვრების კავშირი შეიკრიბა ფერმწერლების, მოქანდაკეებისა და გრაფიკოსების სავსებით მომწიფებული ახალგაზრდა კოლექტივით, რომელმაც უკვე მოიპოვა უფლება იყოს სახვითი ხელოვნების ოსტატთა პირველ რიგებში. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეს წარმატებები საგრძნობლად მეტი იქნებოდა, რომ მხატვრებს შეძლებოდათ დროზე მიეღოთ გადამწყვეტი ზომები იმ არსებითი ნაკლოვანებების წინააღმდეგ, რომლებიც მათ მუშაობაში აქვთ, რომ ისინი თვითდამშვიდების განწყობილებას არ მისცემოდნენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სამწუხარო ფაქტი, რომ სპეციალურ თეძატიკურ გამოფენაზე, რომელიც ეწყობა მოსკოვში ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, ჩვენი მხატვრები მოვიდნენ ისეთი ნამუშევრებით, რომლებშიც თითქმის სრულებით არ არის რევოლუციური თემატიკა. და ეს, ამხანაგებო, ჩვენში, საქართველოში, იმ რესპუბლიკაში, რომელსაც სამართლიანად შეუძლია ამაყობდეს სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებითა და რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეებით.

ჩვენი მხატვრები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ყველა ამ ნაკლოვანებას და მომავალში მთელი თავიანთი შემოქმედებითი უნარი წარმართონ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის. უკვე მიღწეული წარმატებები განმტკიცებულ უნდა იქნას.

ჩვენი მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, თეატრალური და კინოხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული პარტიულ ხელმძღვანელობაზე. ეს ავალებს ყველა შემოქმედებითი კავშირის პარტიულ ორგანიზაციებს ყოველდღიურად და გულმოდგინედ მუშაობდნენ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეურ აღზრდაზე, აიაღლებდნენ მას მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნით, პარტიის პოლიტიკის სწორი გაგებით.

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების ბევრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა დაყენებულია სუსტად, მათში არ არის პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ხშირად ისინი აკეთებენ იმას, რაც მათი საქმე არ არის, უგულებელყოფენ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პრინციპულ საკითხებს. საჭიროა ბოლო მოვუღოთ უდარდელ

იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

ტოკიო, 4 ოქტომბერი. (საკდესი). მომავალი წლის თებერვალში გაიმართება იაპონიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა; ამასთან დაკავშირებით გაზეთი „აკახატა“ აქვეყნებს იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიის ყველა წევრისადმი, აგრეთვე იმ პირებისადმი, რომლებიც პარტიას მხარს უჭერენ.

მიმართვაში ნათქვამია, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს მომავალ ყრილობას იაპონიის მუშათა კლასისა და მთელი იაპონელი ხალხის ბრძოლაში მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, აგრეთვე პარტიის განვითარების საქმეში. იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ რეაქციულმა ძალებმა იაპონიაში და საზღვარგარეთ გააძლიერეს ცილისმწამებლური კამპანია იაპონიის კომპარტიის წინააღმდეგ, ცდილობენ ხელი შეუშალონ მას ყრილობის მომზადებაში. ამ პირობებში, აცხადებს იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, კომპარტიას განზრახული აქვს გაშალოს მასებში ფართო ახსნაგანმარტებითი კამპანია პარტიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რისთვისაც გათვალისწინებულია იაპონიის სხვადასხვა რაიონში მოეწყოს მიტინგები, კრებები და ა. შ. იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს კომუნისტებს, მუშებს, აგრეთვე ყველა პატრიოტს დახმარება გაუწიონ პარტიას ახსნაგანმარტებითი კამპანიის მოწყობისათვის საჭირო სახსრების შეგროვებაში.

შეიქმნა მონღოლეთის დეპეშათა სააგენტო

ულან-ბატორი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „უნენმა“ დღეს დაბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში შეიქმნა მონღოლეთის დეპეშათა სააგენტო — მონცამე. სააგენტოს დირექტორად დანიშნულია ჟ. ზუნდუი.

მდგომარეობა ღიჭღ-როკში კვლავ დაძაბულია

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, მდგომარეობა ლიტლ-როკში (არკანზასის შტატი) კვლავ დაძაბულია.

2 ოქტომბერს რასისტების მიერ წაქეზებულმა იმ საშუალო სკოლის თეთრკანიანმა მოსწავლეებმა, რომელშიც ზანგები სწავლობენ, სცემეს ორ ზანგ ბიჭს.

როგორც სკოლის დირექტორმა ბლოსომმა განაცხადა, თეთრკანიანები დასცინოდნენ ზანგებს და ფეხებით სცემდნენ მათ.

სპეციალურად შექმნილი რასისტული ორგანიზაცია ეგრეთწოდებული „დედათა ლიგა“ ცდილობს ჩაშალოს მეცადინეობა სკოლაში, მოუწოდებს მოსწავლეებს არ იარონ სკოლაში.

ქალაქის ქუჩებში გრძელდება რასისტთა დემონსტრაციები. ასეთი დემონსტრაციის ერთ-ერთმა მონაწილემ ცინიკურად განუცხადა პრესის წარმომადგენლებს: ჩვენ გვსურს შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ ზანგებმა სკოლაში სიარულის „ხალისი დაკარგონ“.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რენე კოტიმ სოციალისტური პარტიის ლიდერს გი მოლეს დაავალა შეადგინოს საფრანგეთის ახალი მთავრობა. გი მოლემ განაცხადა, რომ პასუხს გასცემს მას შემდეგ, რაც წინასწარ მოელაპარაკება პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს.

გაიხსნა პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესი

ლაიფციგი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ლაიფციგში „კონგრეს-ჰალეს“ შენობაში გაიხსნა პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესი. 9 საათისათვის დარბაზში შეიკრიბნენ დელეგატები და მოწვეული მეთვალყურეები. კონგრესის გახსნაზე ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჰ. რაუ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი რიგი მინისტრები, ესწრება პრესისა და რადიოს მრავალი წარმომადგენელი.

კონგრესის მონაწილეებმა აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე დი ვიტორიო, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი, საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეები ბენუა ფრაშონი (საფრანგეთი), ლიუ ჩან-შენი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ვ. ვ. გრიშინი (სსრ კავშირი), შ. ა. დანგე (ინდოეთი), ჰ. ვარნკე (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ლომბარდო ტოლედანო (ლათინური ამერიკა) და სხვები.

შემდეგ კონგრესის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ დი ვიტორიომ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირებსა და მთავრობას, აგრეთვე ლაიფციგის მშრომელებს სტუმართმოყვარეობისათვის. ჩვენი კონგრესის თავისებურებაა, ამბობს დი ვიტორიო, ჯერ ერთი, ის, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში შემავალ პროფცენტრებთან ერთად კონგრესში მეთვალყურეებად და სტუმრებად მონაწილეობს დამოუკიდებელი პროფკავშირული ორგანიზაციებისა და იმ ორგანიზაციების ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც სხვა საერთაშორისო პროფცენტრებს ემხრობიან. ამრიგად, ეს ყველაზე წარმომადგენლობითი პროფკავშირული კონგრესია.

პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესის მეორე თავისებურებაა ფართო დემოკრატიული პრინციპები, რომელთა საფუძველზეც იგი მუშაობს. კონგრესზე ყველა პოლიტიკური შეხედულებისა და ორიენტაციის მშრომელთა წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოვიდნენ. მათ შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს აზრი და დასახონ გზა, რომლითაც უნდა წავიდეს პროფკავშირული მოძრაობა, რათა გამოგლიჯოს მონოპოლისტებს ახალი დათმობები, მიაღწიოს მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამრიგად, განაგრძო დი ვიტორიომ, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის ერთგულებას მუშათა კლასის ერთიანობის პრინციპებისადმი, რომელიც საფუძვლად ედო ჯერ კიდევ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნას 1945 წელს. დი ვიტორიომ გამოთქვა რწმენა, რომ კონგრესი იქნება მის წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე და გაამართლებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა მოლოდინს.

დი ვიტორიომ წარადგინა კონგრესის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენება: მთელ მსოფლიოში პროფკავშირთა მოღვაწეობა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მათი ეკონომიური, სოციალური და დემოკრატიული უფლებებისათვის, განიარაღებისათვის, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ძმური კავშირისა და ერთიანობის განვითარება.

მომხსენებელი ლუი საიანი — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი.

2. პროფკავშირთა ამოცანა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მომხსენებელი შ. ა. დანგე — სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის გენერალური მდივანი.

3. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის გამგეობის ანგარიში თავის საქმიანობაში შეძენილი გამოცდილების შესახებ და დახმარების შესახებ, რომელიც მას შეუძლია გაუწიოს საერთაშორისო სოლიდარობის შემდგომ განვითარებას.

მომხსენებელი ახმედ აშ-შაფი — სუდანის მშრომელთა პროფკავშირების გაერთიანების გენერალური მდივანი.

4. რევიზორების ანგარიში.

მომხსენებელი რ. სმიდი, „ეეც“-ის ხაზინადარი (ჰოლანდია).

5. წინადადებანი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წესდებაში შესწორებათა შეტანის შესახებ.

მომხსენებელი ლუიჯი გრასი — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანი.

6. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და რევიზორების არჩევნები.

კონგრესის მონაწილეებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა სახელით კონგრესს მონაწილეებს მიესალმა თაოსანუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ჰ. ვარნკე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჰ. რაუმ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით.

კონგრესმა პირველ სხდომაზე დაამტკიცა აგრეთვე მუშაობის რეგლამენტი და მუშა კომისიების შემადგენლობა.

თურქეთის ჯარების კონცენტრაცია სირიის საზღვარზე

ბეირუთი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „აშ-შარკის“ ცნობით, თურქეთი განაგრძობს ჯარების კონცენტრაციას სირიის საზღვრის მახლობლად. თურქეთის ჯარების ზოგიერთი ნაწილი, აღნიშნავს გაზეთი, უკვე 10–15 კილომეტრზეა სირიის საზღვრიდან.



მეცნიერებათა აკადემიის მირსდორფის ინსტიტუტში დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს ატომგულის ზომავს რადიაქტიურ სინჯს გეიგერ-მიულერით ბულია ინსტიტუტში.

ინსტიტუტში დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს ატომგულის ფიზიკის დარგში. სურათზე: ლაბორანტი — ხელსაწყოთი, რომელიც კონსტრუირებულია ინსტიტუტში.

ფოტო ულმერისა (ცენტრალბილდი).

სპორტის ამბები

„სპარტაკი“ — „ბეშიქტაში“ 1 : 0

სტამბოლი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდმა გამართა თავისი მეორე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თურქეთის ფეხბურთელებთან. ამჯერად საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდნენ თურქეთის გუნდს ბეშიქტაშს, რომელიც გაძლიერებული იყო თურქეთის ნაკრები გუნდის ოთხი მოთამაშით. სპარტაკელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 1 : 0.

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

ამ დღეებში მოსკოვიდან რიო-დე-ჟანეიროში გაემგზავრა სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს პირველობის გათამაშებაში. საბჭოთა კავშირის გუნდი ამ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობს. ჩვენი ქვეყნის კალათბურთელებთან ერთად ამ ასპარეზობაში ჩემპიონის წოდებისათვის იბრძოლებენ 12 ქვეყნის ნაკრები გუნდები.

მსოფლიო პირველობის გათამაშება 12 ოქტომბრიდან დაიწყება.

• • •

იტალიაში საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებაზე გაემგზავრა საბჭოთა მძლეოსნების კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში არიან ვ. კუცი, ჰ. ბოლოტნიკოვი, ლ. ბარტენევი, მ. კრიეონოსოვი, ვ. კუზნეცოვი და სხვ.

• • •

საბჭოთა მძლეოსნების მეორე ჯგუფი ჩინეთში გაემგზავრა. ისინი პეკინში, შანხაისა და ნანკინში გამართავენ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებს.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე გაიმართა 4 ოქტომბერს მინსკში. აქ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და მინსკის „სპარტაკის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 1.

წყალბურთელთა საკავშირო შეჯიბრება

სსრ კავშირის პირველობის გათამაშების დასკვნითი შეჯიბრება წყალბურთში ხასიათდება მძაფრი ბრძოლით. მორგ შეხვედრაში გათამაშების ლიდერმა მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა დედაქალაქის „ტორპედოს“ წყალბურთელთა კოლექტივი ანგარიშით 3 : 2.

წარმატებით გამოდიან სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის წყალბურთელები. არმიელებმა დაამარცხეს მოსკოვის „ბურევესტნიკი“ 6 : 2 და ლენინგრადის „ვოდნიკი“ 5 : 1.

თბილისის „დინამოს“ გუნდმა მატჩი კიევის „ბურევესტნიკთან“ დაამთავრა ფრედ 4 : 4 და მოუგო მოსკოვის „ბურევესტნიკს“ 4 : 3.

რამდენიმე სტრიქონით

◎ **თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“** რესპუბლიკის ეკრანებზე გამოუშვა ახალი კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 26. კინოჟურნალის რეჟისორია ო. ჭიაურელი.

◎ **146.100 მწვანე ნარგავი** შეემატება ამ შემოდგომაზე თბილისის ქუჩებსა და პარკებს, ბაღებსა და მოედნებს. აქედან 57.520 იქნება სხვადასხვა ჯიშის ხე და 88.580 ბუჩქი.

◎ **ახალი აბანო** აშენდება 26 კომისრის რაიონში. აბანოს ააშენებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველო.

მშვიდობის ძალების დასაყრდენი გერმანიაში

რვა წლის წინათ, 1949 წლის 7 ოქტომბერს, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გამოცხადებულ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. გერმანიის ისტორიაში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი გერმანელი ხალხის ბედისათვის და მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში, აღმოსავლეთ გერმანიაში ბოლო მოეღო გერმანული მილიტარიზმის ბატონობას, რომელმაც ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე ორჯერ გაიჩაღა სისხლისმღვრელი მსოფლიო ომი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ, სოციალისტურ საზოგადოებას აშენებენ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მტრების ყველა ხრიკების მიუხედავად, რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება, მისი სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი ამჟამად უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

• • •

ხალხის ცხოვრებაში რვა წელიწადი დიდი ისტორიული ვადა არ არის, მაგრამ ამ წლების მანძილზე გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. სოციალიზმის მშენებლობის იდეით აღფრთოვანებულმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ამასთან მათ მოუხდათ დაძლევა სერიოზული სიძნელეებისა, რომლებიც ომის და გერმანიის გათიშვის შედეგად წარმოიშვა.

დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს დიდად განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოს: მისი მრეწველობა იძლევა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი საერთო პროდუქციის ოთხ მეხუთედზე მეტს. ომამდელ 1936 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 2,2-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მხრივ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ევროპაში მეხუთე ადგილი უჭირავს. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოების მხრივ მან უკან მოიტოვა ისეთი სახელმწიფოები, როგორიც დასავლეთი გერმანია და საფრანგეთი არიან. მურა ქვანახშირის ამოღების მხრივ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში (იგი მურა ქვანახშირის მსოფლიო მოპოვების დაახლოებით 45 პროცენტს იძლევა). რესპუბლიკას აქვს დიდად განვითარებული ლითონდამამუშავებელი და ქიმიური მრეწველობა, აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განსაკუთრებით დიდად განვითარდა მანქანათმშენებლობა, კერძოდ ჩარხმშენებლობა. სახალხო ხელისუფლების არსებობის მანძილზე რესპუბლიკაში ექვსი დიდი ჩარხმშენებელი ქარხანა აშენდა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წელიწადში უშვებენ 20 ათას სხვადასხვა ჩარხს — იმდენს, რამდენსაც ყოველწლიურად უშვებენ საფრანგეთი და შვეიცარია ერთად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას თავისი განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს, იმიტომ რომ იქ წამყვან როლს სოციალისტური სექტორი ასრულებს. სოციალისტურ საწარმოებში ამჟამად მზადდება რესპუბლიკის მთელი სამრეწველო პროდუქციის 88,8 პროცენტი. სოფლის მეურნეობაში ვარგისი მიწის ფართობის დაახლოებით ერთი მესამედი სოციალისტურ სექტორს ეკუთვნის; შექმნილია მტს-ების, სახელმწიფო მეურნეობების, საწარმოო კოოპერატივების ფართო ქსელი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშები, გლეხები, ინტელიგენცია შრომობენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის. მეორე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1957 წლის პირველ ნახევარში გამოშვებულ იქნა 8 პროცენტით მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ფართო მოხმარების საქონლის საცალო ფასების არაერთგზის შემცირებამ და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის სისტემატური აღმავლობის სხვა ღონისძიებათა განხორციელებამ გამოიწვია მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდება დაახლოებით 50 პროცენტით 1950 წელთან შედარებით.

• • •

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უაღრესად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა, დიდად არის დამოკიდებული ნედლეულისა და მასალების ისეთი ძირითადი სახეების იმპორტზე, როგორიც არის ლითონი, ქვანახშირი, კოქსი, მატყლი, ბამბა. ამ პირობებში რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს საგარეო ვაჭრობას. 1957 წლის დამდეგისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ექსპორტი 1950 წელთან შედარებით გადიდდა 3,5-ჯერ, ხოლო იმპორტი — 3-ჯერ. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა გადიდდა 25 პროცენტით გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების სიმყარეს უზრუნველყოფს მისი ეკონომიური ურთიერთობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან, რომელთა წილად მოდის რესპუბლიკის მთელი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სამი მეოთხედი.

ფართოვდება რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთანაც, თუმცა ბევრი მათგანის მმართველი წრეები განაგრძობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ სავაჭრო დისკრიმინაციის პოლიტიკის განხორციელებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ვაჭრობს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანასთან.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, მტკიცე მდგომარეობა უჭირავს საერთაშორისო ასპარეზზე. იგი ცნეს დემოკრატიულმა ქვეყნებმა, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 900 მილიონ კაცს აღემატება, და მას ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა აქვს ქვეყნებთან, რომელთა მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე ბევრად მეტია. რესპუბლიკა 86 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და ხუთი საერთაშორისო კონვენციის მონაწილეა. მართალია, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ ჯიუტად არა სურთ დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, მაგრამ ასეთი პოლიტიკა სამოლოო ანგარიშით ჩაფუშვისათვის არის განწირული.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალისტურ სახელმწიფოთა დიადი თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილია. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს 350-ზე მეტი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებიც მოიცავენ მათი ურთიერთობის ყველა დარგს. სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური ურთიერთობა დამყარებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძვლებზე, სოციალიზმის საერთო იდეალების ერთიანობაზე.

მიმდინარე წელს მოეწყო სოციალიზმის ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მთელი რიგი შეხვედრები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებმა დაადასტურეს ერთიანობა ყველა ამ მოლაპარაკების მონაწილეთა შეხედულებებისა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებზე და სოციალისტური მშენებლობის საქმეში ყოველმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე.

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გამგზავრება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე წლის აგვისტოში და რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან მისი მოლაპარაკების შედეგი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის ურღვევი მეგობრობის ახალი, მკაფიო დადასტურება იყო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელი განვითარება გარანტირებულია ვარშავის ხელშეკრულებით, რომლის მონაწილეც იგი არის. თავის გამოსვლაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატაში მიმდინარე წლის 8 აგვისტოს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს და განაცხადა: „შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ იმაში, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები საჭიროების შემთხვევაში შეასრულებენ თავიანთ ვალს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე და დაეხმარებიან დემოკრატიულ მონაპოვართა, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვაში“. ამ განცხადებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები. იგი იყო სერიოზული გაფრთხილება დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული და რევანშისტული წრეებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელოვანი წლისთავის დღეს საბჭოთა ადამიანები გერმანიის მშრომელებს უსურვებენ ახალ წარმატებებს მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის და თავიანთი ქვეყნის ეროვნული ერთიანობისათვის ბრძოლაში.

ვ. მამონტოვი.

მოხევე ქალები სოფლის წყაროსთან. ფოტოეტიუდი შ. გოქაძისა.

„წერილის საერთაშორისო კვირეული“

მიმდინარე წლის 6 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრამდე ჩატარდება „წერილის საერთაშორისო კვირეული“, რომლის მიზანია ადამიანთა შორის პირადი მიმოწერის გაფართოება, ხალხთა დამეგობრება.

წერილის საშუალებით ხდება საყურადღებო ცნობების შეტყობინება, ადამიანთა შორის მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარება. საზღვარგარეთელ მეგობრებთან მიმოწერა საშუალებას აძლევს ადამიანს გაეცნოს სხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრებას, კულტურას. ეს ხელს უწყობს მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

„წერილის საერთაშორისო კვირეულის“ ჩატარებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის ფოსტით მომსახურების გაუმჯობესების საქმეს.

ფოსტის დიდ საწარმოებში მოეწყობა ფოსტის იმ მუშაკების შეხვედრა მოსახლეობასთან, რომლებიც მუშაობენ მილიონობით წერილების, გაზეთების, ჟურნალების, ამანათების და ფულის გზავნილებების დამუშავებაზე.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ გამოშვებული იქნება სპეციალური მარკა „წერილის საერთაშორისო კვირეულის“ აღსანიშნავად, სასურველი იქნება, თუ კვირეულში მონაწილეობას მიიღებს ყველა მოქალაქე და მისწერს წერილს თავის მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს, კოლეგებს და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, „წერილის საერთაშორისო კვირეულის“ ჩატარებასთან დაკავშირებით ფოსტის მუშაკებმა უნდა გააჩაღონ შეჯიბრება მოსახლეობის სანიმუშო მომსახურებისათვის, ფოსტის საწარმოების წესიერ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება გარკვეული ღონისძიებები მოსახლეობის საფოსტო კავშირით მომსახურების გასაუმჯობესებლად. ამჟამად რესპუბლიკაში გვაქვს 800-მდე კავშირგაბმულობის განყოფილება, ყოველ წელს იხსნება 30-40 ახალი განყოფილება.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მარტო 1956-57 წლებში კავშირგაბმულობის 60 განყოფილება გადაყვანილ იქნა შეუფერებელი ბინიდან კარგ ბინებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კავშირგაბმულობის განყოფილებებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში.

ჩვენს რესპუბლიკაში ფოსტის მუშაკები ყოველთვიურად ამუშავებენ 20 მილიონზე მეტ წერილს, ნახევარ მილიონ ამანათს, 38 მილიონ ჟურნალ-გაზეთს, 700 ათას ფულის გზავნილებას და სხვ. ასეთი დიდი რაოდენობით კორესპონდენციების დამუშავება, გადატანა და თავის ადგილზე ჩაბარება მოითხოვს, რომ ყველა უბანმა იმუშაოს ზუსტად და შეუფერხებლად.

უკანასკნელ წლებში საფოსტო მუშაობაში ფართოდ დაინერგა მექანიზაცია, როგორც კორესპონდენციის დამუშავებაში, ისე მის გადატანაში.

რესპუბლიკის 74 რაიონში და ქალაქში გაზეთების და წერილების გადატანა ხდება თვითმფრინავებით, მატარებლებით და ავტომანქანებით. ეს შესაძლებლობას იძლევა რესპუბლიკური გაზეთები იმავე დღეს მიიღონ 65 რაიონისა და ქალაქის მშრომელებმა.

ავტომანქანებს ვიყენებთ აგრეთვე ფოსტის გადასაზიდად რაიონის შიგნით. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს დაბრკოლება. 2.000 კილომეტრ საფოსტო ტრაქტებზე ჯერ კიდევ წარმოებს საფოსტო ამანათების გადაზიდვა კოლმეურნეობების ცხენებით, რაც ხშირად აგვიანებს გაზეთებისა და ფოსტის თავის დროზე მიტანას ადგილებზე.

ფოსტის ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ყველა პირობა მოსახლეობის კულტურული და ყურადღებიანი მომსახურებისათვის. კავშირგაბმულობის ზოგიერთი მუშაკი არ იჩენს გულისხმიერებას ადამიანების მიმართ, რაც მათს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ჩვენი რესპუბლიკის ფოსტის მუშაკები, რომლებიც კავშირგაბმულობის სხვა დარგების მუშაკებთან ერთად ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კარგად გამოიყენებენ „წერილის საერთაშორისო კვირეულს“ და უფრო გააუმჯობესებენ მოსახლეობის მომსახურებას საფოსტო კავშირით.

მ. ინაური,
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიცვალა ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის სახელწოდება. ამ რაიონს ამიერიდან ეწოდება ოქტომბრის რაიონი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
(პლეხანოვის პროსპ. № 123)
მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის
გასტროლები
8 ოქტომბერს, 11 ოქტომბერს
ც. სოლოდარი
სიყვარული, დირექტორი და გინა
კომედია 3 მოქმედებად.
9 ოქტომბერს, 12 ოქტომბერს
ლეონარდო პეკი
ღამის სტუმარი
დრამა 3 მოქმედებად, 4 სურათად.
10 ოქტომბერს, 13 ოქტომბერს
ჯერალდ გორდონი
ენტონი გრეჰემის დანაშაული
დრამა 3 მოქმედებად.
თეატრის მთავარი რეჟისორი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
ვ. ა. გოლდფელდი.
სპექტაკლების დასაწყისი 20 ს. 30 წ.

მეუღლე გრიგოლ, შვილები ხათუ, ნოდარ, სიძე ქ. ოდილავაძე, რძალი ლიუდმილა ოჯახებით იუწყებიან
ნინო სპირიდონის ასულ ბერიშვილი-კაჭახიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 8, 9–X, 8 ს. გამოსვენება 10–X, 5 ს. ლარა ცეტკინის ქ. № 17.

მეუღლე ივლიტა, შვილები ნინო, ოლია, ქეთო, ტასო, ძმა აკაკი, და აგრაფინა, სიძეები ქ. კანდელაკი, ვ. სულაქველიძე, ნ. თოფურიძე, ი. კაკაშვილი ოჯახებით იუწყებიან
ვიქტორ დავითის-ძე მაცაბერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6,7–X, 8 ს. გამოსვენება 8–X, 5 ს. ჭოროხის ქ. № 7.

მეუღლე ქეთევან შავდია, შვილები თამარ, თენგიზ ხუციელავები, სიძე კ. კუხალაშვილი ოჯახით იუწყებიან
ნესტორ ეგნატეს-ძე ხუციელავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8–X, სოფ. კინჩაში (წულუკიძის რ.).

მეუღლე თამარ, შვილი გივი, დები ელენე, ფატი, თამარ, მარიამ, რძალი ვალენტინა ოჯახებით იუწყებიან
ლევან სილოვანის-ძე ხუნდაძის
გარდაცვალებას. პან